აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№26 (25.050) სამშაბათი, 14 - 15 მარტი, 2023 წ. 50 თეთრი

ბარომეტრი

ბარომეტრს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 15-20, შიდამთიან რაიონებში - 12-17, მაღალ მთაში - 8-13 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 765 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

კრიალოსა N იუსი

ჩვენი მთავრობა, ხელისუფლება ერთ-ერთ ყველაზე გამჭვირვალე ხელისუფლებად ითვლება მთელს მსოფლიოში და მოწინავე დემოკრატიებს შორის, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა. როგორც მან „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებული კანონპროექტების მიზნებზე საუბრისას აღნიშნა, არასამთავრობო ორგანიზაციებს „ასეულობით მილიონი დოლარი აქვთ მიღებული მას შემდეგ, რაც ჩვენმა ქვეყანამ ხელახლა მოიპოვა დამოუკიდებლობა. გაუმჭვირვალეა მათი მიზნები, აქტივობა. ჩვენ ძალიან ცოტა ინფორმაცია გვაქვს და ვითხოვდით მინიმალური გამჭვირვალობის დონეს და მინიმალურ ანგარიშვალდებულებას ჩვენი საზოგადოების წინაშე“.

* * *

7 მარტს, საღამოს საათებში, აქციას მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა და არ არსებობდა მისი შეწყვეტის და მის წინააღმდეგ ძალის გამოყენების საფუძვლები, - განაცხადა ახალარჩეულმა სახალხო დამცველმა ლევან იოსელიანმა. მისივე თქმით, აქციის იმ მონაწილეების მიმართ, რომელთა მხრიდან ძალადობის შემთხვევებს ადგილი ჰქონდა, უნდა გატარებულიყო ინდივიდუალური აუცილებელი და პროპორციული ღონისძიებები, თუმცა შეკრების მონაწილეების, მათ შორის, მშვიდობიანი მანიფესტანტების მიმართ სპეციალური საშუალებების გამოყენება პროპორციული ჩარევის სტანდარტს ეწინააღმდეგება.

* * *

ეს ქვეყანა არ ეკუთვნის არცერთ პოლიტიკურ პარტიას, არცერთ პოლიტიკურ ლიდერს, ეს ქვეყანა და ამ ქვეყნის მომავალი ეკუთვნის ხალხს, რომელსაც ურყევად აქვს გადაწყვეტილი ევროპისკენ სვლა, - განაცხადა პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილმა. მისი თქმით, „ბრძოლა არ დასრულებულა, ახლა იწყება“, ამასთან, კონკრეტული ქმედითი ნაბიჯების გადადგმა მნიშვნელოვანია და ამისთვის კონსულტაციებს გაივლიან დასავლელ პარტნიორებთან, პოლიტიკურ პარტიებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან.

* * *

„არა რუსულ კანონს დიდ ბრიტანეთში“ - თბილისში, გაერთიანებული სამეფოს საელჩოსთან ამ სახელწოდებით აქცია-პერფორმანსი გაიმართა. აქციის მონაწილეების განცხადებით, ისინი აპროტესტებენ უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტის განხილვას ლორდთა პალატაში. მათ ოპოზიციონერი პოლიტიკოსების ნიღბები ეკეთათ და ხელში ეჭირათ პლაკატები წარწერით „ბრიტანეთს არ გაგარუსებინებთ“. აქცია გაიმართა კანადის საკონსულოსთანაც.

მოამზადა
ია შველიძემ

„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ – ბათუმის დრამატული თეატრის სცენაზე

საკმაოდ მძიმე წინა სპექტაკლის („სოფელსა შინა“) შემდეგ ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ალექსანდრე ქანთარიამ მაყურებლის გამხიარულება გადაწყვიტა და ავქსენტი ცაგარელის ცნობილი კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ შესთავაზა

საპრემიერო სპექტაკლები თეატრის დიდ სცენაზე 10-11-12 მარტს გაიმართა. თემატიკის აქტუალობის რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ პიესის მიხედვით გადაღებულ ფილმს არაერთხელ დავუყენებივართ კარგ ხასიათზე და ყოველთვის ღიმილით ვიხსენებთ. სამმოქმედებიან პიესაში მოთხრობილი ამბავი თბილისის სინამდვილიდანაა აღებული - მემამულე შიოევს მართლაც, მოუტაცნია დიღმელი გლეხის გიულას გოგო და მრავალგზის ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, არ დაუბრუნებია. მოკლედ, თეატრის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ანოტაციაში გვპირდებოდნენ: „თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ალექსანდრე ქანთარიამ ამჯერად თეატრალური ნიღბის ის მხარე აირჩია, რომელიც მაყურებელს აღიმებს, მეტიც შეიძლება ითქვას, გულიანად ახარხარებს, რადგან ბათუმის დრამატული თეატრის სცენაზე ავქსენტი ცაგარელის პიესა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ უნდა განხორციელდეს. დასამახსოვრებელი ხასიათები, ჩამთრევი სიუჟეტი, ფერადოვანი სამყარო, კომედიისთვის დამახასიათებელი სიმსუბუქე, რაც ასე იზიდავს თეატრალური ხელოვნების ჭეშმარიტ მოყვარულებს. გილოცავთ ამ ახალ თეატრალურ ფოიერვერკს“...

ჩვენ აუცილებლად შემოგთავაზებთ ამ სპექტაკლზე ჩვენეულ გამოხმაურებას, ამჯერად კი მასზე ერთ-ერთი ბათუმელი ინტელექტუალის, ფილოსოფიის პროფესორ გიორგი მასალკინის შთაბეჭდილებას, რომელიც მან საკუთარ ფეისბუქგვერდზე გამოაქვეყნა, უცვლელად გაგაცნობთ:

„ნუთუ „რაც გვინახავს, ვეღარ ვნახავთ“ - ბათუმის დრამატულ თეატრში?

საყოველთაო დეპროფესიონალიზაციის ფონზე ბათუმის დრამატული თეატრი რჩებოდა იშვიათ შემთხვევად კოლექტივისა, რომელიც ხარისხიანად აკეთებდა თავის საქმეს და არაერთი საინტერესო სპექტაკლი შესთავაზა მაყურებელს. მსახიობთა შესანიშნავ უფროს თაობას ნიჭიერი ახალგაზრდა თაობა შეემატა,

მაგრამ თეატრში გატარებული საკადრო ცვლილებების შემდეგ, ჩემი აზრით, სიტუაცია დრამატულად შეიცვალა. ამის ერთ-ერთი მაგალითია დიდი ზარზეიმით დადგმული სპექტაკლი „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, რომელიც რომელიმე ამბიციურ სკოლაში თეატრალური წრის მიერ მხატვრული შემოქმედების ნიმუშს უფრო ჰგავდა. მსახიობებთან პრეტენზიები არ მაქვს, ისინი ყველანაირად ცდილობდნენ საოცრად ღარიბული და მეორადი ქმედებიდან მაქსიმუმი ამოექაჩათ...

არაფერს ვამბობ თემის „აქტუალობაზე“, მაგრამ, თუ კლასიკას დგამ, მაშინ, ჩემი აზრით, ან კარგი კლასიკა უნდა შესთავაზო, ან ახლებურად წაკითხული კლასიკური ტექსტი, ან, ვთქვათ, გათანამედროვებული. რეჟისორმა ვერცერთი ვარიანტი ვერ შემოგვთავაზა. ერთ სცენაში სტრასბურგის სასამართლოს ხსენება ამ სიტუაციაში ყოვლად უადგილოდ გამოიყურებოდა...

ვიტყვი, რომ ბათუმის მაყურებელი ამ დონის სპექტაკლს არ იმსახურებს, მე პირადად გარკვეულად შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი.

აქვე მინდა შევნიშნო, რომ ბათუმს მადლიერი მაყურებელი ჰყავს, რომელსაც თან მოენატრა ვოდევილი, კომედია. სპექტაკლი სრულდება მაყურებლის ფეხზე ადგომით და ხანგრძლივი ტაშით... რასაც არაფრით არ უმოქმედია სპექტაკლის ჩემეულ აღქმაზე.

მესმის, რომ თეატრში ყველა სპექტაკლი ვერ იქნება მაღალი დონის, მაგრამ, ვფიქრობ და ვშიშობ, რომ ბათუმის დრამატულ თეატრს რთული დროება დაუდგა და რომ მას ემუქრება ის, რაც არასდროს ახასიათებდა, ემუქრება პროვინციალიზაცია“...

ვფიქრობ, ეს ანტირეკლამა ერთგვარი რეკლამაა, რაც გვიმძაფრებს სურვილს, საკუთარი თვალთახედვით შევაფასოთ სპექტაკლი. მანამდე კი შეგახსენებთ, რომ სამმოქმედებიანი პიესის ბათუმის დრამატული თეატრისეული ერთმოქმედებიანი ვერსიის მხატვარია პაატა მძინარიშვილი, კომპოზიტორი - ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, რომელთა ნამუშევრები არაერთმა მაყურებელმა შეაფასა დადებითად. სპექტაკლის ქორეოგრაფი გახლავთ დავით დუმბაძე. მოქმედნი პირნი და შემსრულებელნი:

თავადი დავით ჯამბარაშვილი - ტიტე კომახიძე; ზაქარია - დავით ჯაყელი; ნიკო (მოურავი) - ზაზა ზოიძე; კოსტაია - მამუკა მანჯგალაძე; კატინა - ზინაიდა კიკვაძე; ტასია - ქეთა ბარამიძე; ილუა - ლაშა კონცელიძე; საქუა - თორნიკე ბარამიძე; ავეტიქა - ლევან თედორაძე; გიუუა - ავთანდილ ქარჩავა, სესე მიქავა; ფიჩხულა - დავით წერეთელი; სოსანა - მიშა ღომიძე; ლიზა - მერი ნაკაშიძე; მაგდანა - იზოლდა ფოფხაძე; პელუა - ნინო კვიტაიშვილი.

მარი მიდასელი

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

„ბერლინში ძალიან წარმატებული ისტორია დაიწერა“...

ია ხატიაშვილი 555 18 48 88

ბერლინის მასშტაბური ტურისტული გამოფენა ITB Berlin 2023 ოფიციალურად დაიხურა

საქართველომ, როგორც გამოფენის ოფიციალურმა მასპინძელმა ქვეყანამ, გამოფენის 180-ზე მეტი სახელმწიფოს წარმომადგენელსა და 200 ათასამდე დამთვალიერებელს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია ქვეყნის ტურისტული სექტორის პოტენციალის, ტრადიციების, სტუმარ-მასპინძლობისა და სხვა ღირსშესანიშნაობების შესახებ.

საქართველოს სლოგანი გამოფენაზე იყო „უსაზღვრო სტუმარ-მასპინძლობა“. იგი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მედიის 5 000-მდე წარმომადგენელმა გააშუქა.

„ბერლინის გამოფენაზე ჩვენ გამორჩეულად საინტერესო და ყოვლისმომცველი პავილიონი გვქონდა. სტუმრებს გავაცანით საქართველო თავისი უნიკალური კულტურული მემკვიდრეობით, ბუნების ძეგლებით, გამორჩეული ფოლკლორით, უგემრიელესი სამზარეულოთი და მეღვინეობის უწყვეტი 8 000-წლოვანი ისტორიით, რომლის გამოც მსოფლიო ჩვენს ქვეყანას სამართლიანად უწოდებს ღვინის სამშობლოს. ამავე დროს, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვიამაყოთ თანამედროვე მიღწევებითაც - მდგრადად განვითარებადი კურორტებით. აქტიურად ვმუშაობთ, რათა საქართველო გახდეს კარგად განვითარებული ოთხი სეზონის ტურისტული ქვეყანა, რის გამოც ინვესტიციები ხორციელდება სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის, ხდება ახალი, მიმზიდველი ტურისტული ადგილების, ბალნეოლოგიური კურორტების, საბაგიროებისა და სხვა ინფრასტრუქტურის, კონკურენტული სერვისების განვითარება“, - განაცხადა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ მარიამ ქვრივიშვილმა.

მისივე განცხადებით, ITB Berlin 2023-ზე მასპინძელ ქვეყნად საქართველოს მონაწილეობა მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობას და ქვეყანას წარმატებით გაიყვანს ახალ სამიზნე ბაზრებზე, მათ შორის, გერმანიასა და ევროკავშირის სხვა ქვეყნებში. ქალბატონმა მარიამმა ჟურნალისტებთან საუბარში ასევე ხაზი გაუსვა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სექტორის ზრდის დინამიკას. „ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ, რათა ადგილობრივ საავიაციო ბაზარზე შემოვიდეს მეტი ახალი ავიაკომპანია, არსებულმა ავიაგადამყვანებმა კი გაზარდონ მიმართულებები და რეისების სიხშირე. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ევროპის მიმართულებებზე, რათა მეტმა ევროპელმა ტურისტმა შეძლოს საქართველოში მოგზაურობა“, - განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

გამოფენის დასრულების შემდეგ, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, ITB 2023-ზე საქართველოს წარდგენა და განხორციელებული აქტივობები შეაჯამეს. გერმანიის ტურიზმის ასოციაციის (DVR) პრეზიდენტმა ბერლინის ტურისტულ გამოფენაზე საქართველოს მონაწილეობა შეაფასა და იმ შედეგებზე ისაუბრა, რაც ქვეყანას გამოფენაში მონაწილეობამ მოუტანა. „საქართველოს მასპინძელი ქვეყნის სტატუსით მონაწილეობა იყო შთამბეჭდავი და ბრწყინვალე გადაწყვეტილება. გამოფენა ძალიან წარმატებული გამოდგა საქართველოსთვის. პანდემიის შემდეგ, ტურიზმის ინდუსტრიას და ხალხს ოპტიმისტური განწყობა გაუჩნდა. საქართველომ გამოფენაზე საოცარი გახსნა მოაწყო, ასეთი ბრწყინვალე წარმოდგენა არასდროს მინახავს“, - აღნიშნა გერმანიის ტურიზმის ასოციაციის (DVR) პრეზიდენტმა ნორბერტ ფეიბიგმა.

მისივე განცხადებით, მასპინძელი ქვეყნის სტატუსით საქართველომ მიზანს მიაღწია და როგორც ტურისტულმა მიმართულებამ, დიდი ყურადღება დაიმსახურა. „საქართველოს უამრავი რამ შეუძლია, შესთავაზოს მსოფლიოს. თქვენს ქვეყანას დიდი პოტენციალი აქვს. ბერლინში საქართველოს მასპინძელი ქვეყნის სტატუსით მონაწილეობის შემდეგ ძალიან წარმატებული ისტორია დაიწერა. ვფიქრობ, ძალიან ბევრს გაუჩნდება სურვილი, საქართველოს ეწვიოს. გახსნის შემდეგ დავაგემოვნე ქართული სამზარეულო, გავეცანი უმაღლესი ხარისხის ქართულ კერძებს“, - აღნიშნა ნორბერტ ფეიბიგმა.

ITB Berlin 2023-ზე საქართველოს პავილიონი 1000 კვმ-მდე ტერიტორიაზე განთავსდა, სადაც 80-მდე ქართული კომპანია იყო წარმოდგენილი. საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად, გამოფენაში მონაწილეობდნენ თბილისის მერია, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, ტურისტული ასოციაციები, დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციები და აეროპორტების გაერთიანება.

დარგის პოპულარიზაციისათვის

ნანა აბულაძე 577 20 35 90

13 მარტს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სოფლის მეურნეობის ექსტენციის პროექტის ფარგლებში, ოფიციალური ვიზიტით აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) ვაშინგტონისა და თბილისის ოფისის წარმომადგენლები, განათლების საერთაშორისო სპეციალისტები, შეერთებული შტატების უნივერსიტეტების: Central State University, Prairie View A&M University - ექსპერტები და „მომავლის ფერმერის“ გუნდი ეწვია, რომელიც აღნიშნული პროექტის განმახორციელებელი და აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ადგილობრივი პარტნიორია. შეხვედრების ძირითად ნაწილს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი უმასპინძლებს, რომელიც პროგრამის საკვანძო რგოლი და განათლების, კვლევისა და ექსტენციის კომპონენტის გაერთიანებაში მთავარი მონაწილეა, რაც სამომავლოდ ახალგაზრდების სოფლის მეურნეობაში ჩართულობას და დარგის პოპულარიზაციასაც უზრუნველყოფს.

აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის დახმარებით დაგეგმილია ბსუ-ს ბაზაზე „აგროკლინიკის“ ჩამოყალიბება, რომელმაც აგრარულ ექსტენციაში სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს. ღონისძიებებში აქტიურად იქნებიან ჩართულნი პროგრამის სხვა პარტნიორებიც, როგორიცაა, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ექსტენციის სამსახური, ასევე, ადგილობრივი სკოლები და ახალგაზრდები, მათ შორის: სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები და ახალგაზრდა ფერმერები. ვიზიტის მიზანია აჭარის რეგიონისათვის საპილოტე ექსტენციის მოდელის შემუშავების პროცესში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ადგილობრივ მხარეებთან შეხვედრების გამართვა და მომდევნო წლების აქტივობებზე ინტენსიური მუშაობა.

მხედველობისა და სმენის დარღვევების მქონე სტუდენტების ხელშესაწყობად

ნაილი ხერთვისელი 27 48 93

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი „Erasmus +“-ის პროექტის „ინოვაციები კურიკულუმში სოციალური ჩართულობის მხარდასაჭერად“ (CISI) კოორდინატორი ინსტიტუციის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ერთ-ერთი პარტნიორის, შპს „მარიანის“ წარმომადგენლებს მასპინძლობს

ვიზიტის მიზანია პროექტის ფარგლებში შეძენილი აღჭურვილობის გამოფენის მოწყობა და ბსუ-ის პერსონალისა და სტუდენტებისთვის სპეციალური ტექნიკის გამოყენების სწავლება.

აღჭურვილობა, ძირითადად, მხედველობისა და სმენის სასწავლო კურსების და ტრენინგ-მოდულების განხორციელების მიზნით არის შეძენილი. „მარიანის“ წარმომადგენლები ბსუ-ის პერსონალს ჩაუტარებენ ვორქშოფებს და აღჭურვილობის პრაქტიკულად გამოყენების ყველა დეტალს გააცნობენ. სპეცტექნიკის გამოყენება იგეგმება მხედველობისა და სმენის დარღვევების მქონე სტუდენტების ხელშესაწყობადაც.

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

ბათუმში, ქათამაძის ქუჩაზე საბავშვო ბაღის მშენებლობა აგვისტოში დასრულდება. იგი 270 აღსაზრდელზეა გათვლილი. არჩილ ჩიქოვანის თქმით, შენობა იქნება სრულად ადაპტირებული. მოეწყობა ეზო და საბავშვო გასართობი მოედანი. ასევე, კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ფარგლებში, ადლიის ქუჩაზე წყალმომარაგების მაგისტრალური და გამანაწილებელი ქსელის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. აღნიშნულ ტერიტორიაზე წყლის ცენტრალური სისტემა ამ დრომდე არ არსებობდა. სამუშაოების დასრულების შემდეგ კი, 24-საათიანი წყალმომარაგებით 5 000 აბონენტი ისარგებლებს. მერიის ინფორმაციით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში „ბათუმის წყალმა“ ქალაქის ცენტრალურ ნაწილსა და შემოერთებულ ტერიტორიებზე დაახლოებით 26 კმ ახალი წყალმომარაგების ქსელი მოაწყო.

* * *

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმს ბათუმში მოღვაწე დამსახურებული ექიმების პირადი ნივთები საჩუქრად გადაეცა. მუზეუმში ბინა დაიდო თერაპევტ პლატონ გიგინეიშვილის სამედიცინო ჩანთა-საკვოიაჟმა, ტროსტმა და სამედიცინო აღჭურვილობამ. ასევე, საქართველოს ოფთალმოლოგიის დარგის ერთ-ერთი დამფუძნებლის ალექსანდრე შატილოვის ბიუსტმა და საუკუნოვანმა ფოტოსურათებმა. აღნიშნული ნივთები მუზეუმს საჩუქრად კინოდოკუმენტალისტმა და ხელოვნებათმცოდნე ოლიკო ჟღენტმა გადასცა. ღონისძიების ფარგლებში, აჩვენეს ოლიკო ჟღენტის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი, რომელშიც პლატონ გიგინეიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მისი შვილიშვილი მოგვითხრობს.

* * *

პროგრამის „ბიბლიოთეკების რემოდელირება“ მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლებში თანამედროვე სასწავლო, საბიბლიოთეკო და შემოქმედებითი სივრცეების შექმნა, რაც მნიშვნელოვანია სწავლა-სწავლების პროცესის წახალისებისთვის. 2023 წელს პროგრამის ფარგლებში განხორციელდება 4 საჯარო სკოლის (სსიპ „ქალაქ ბათუმის №2 საჯარო სკოლა“, სსიპ „დაბა შუახევის საჯარო სკოლა“, სსიპ „შუახევის მუნიციპალიტეტის ტარიელ ფუტკარაძის სახელობის სოფელ შუბნის საჯარო სკოლა“ და სსიპ „დაბა ხულოს საჯარო სკოლა“) ბიბლიოთეკის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, ინვენტარით და ტექნიკით აღჭურვა. ამავდროულად, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს სასკოლო ბიბლიოთეკების შევსებას მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურით.

* * *

მონადირეთა და მეთევზეთა სპორტულმა ფედერაცია „მაჭახელამ“ ახალი ინიციატივა წამოიწყო, რაც აჭარაში ტყეების განაშენიანებას, ფლორისა და ფაუნის მოვლა-პატრონობას ისახავს მიზნად. „მაჭახელას“ ინიციატივით, ტყეების განაშენიანება უკვე დაიწყო და ეტაპობრივად, აჭარას სრულად მოიცავს. „მაჭახელას“ წევრები ოჯახებთან ერთად ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა აჭყვას სტუმრობდნენ, სადაც კაკლის 500-მდე ნერგი დარგეს. მათი თქმით, ეს სისტემატურ ხასიათს მიიღებს.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

„ლელოს“ ახალი ინიციატივა

ია ხატიაშვილი 555 18 48 88

პარტია „ლელო საქართველოსთვის“ ახალი ინიციატივით გამოდის - მოხდეს ევროკავშირის 12 მოთხოვნის შესრულების მონიტორინგის საზოგადოებრივი საბჭოს ფორმირება.

„ქართული ოცნების“ მიერ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატის სტატუსის მიღების პროცესში ხელოვნურად შექმნილმა დაბრკოლებებმა ჩვენი ქვეყნის პარტნიორების სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. ცალსახად გაცხადდა, რომ ევროკავშირს სანდო პარტნიორი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არ ჰყავს. ამავე დროს, ევროკავშირის დღის წესრიგია, რომ საქართველომ წარმატებით გაატაროს ის რეფორმები, რომელსაც ევროკავშირი ელოდება და ამით გზა გაეხსნას ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების შესაძლებლობას. ამ პროცესში ევროკავშირის მთავარი პარტნიორები უნდა გახდნენ ის ორგანიზაციები და პარტიები, რომლებიც რეალურად მუშაობენ ქვეყნის ევროპული მომავლის უზრუნველსაყოფად. ჩვენი ევროპელი პარტნიორების მხრიდან წამოსული წინადადებით და მათთან კონსულტაციების შედეგად, „ლელო“ გამოდის ინიციატივით, რომ მოხდეს ევროკავშირის 12 მოთხოვნის შესრულების მონიტორინგის საზოგადოებრივი საბჭოს ფორმირება. მის შემადგენლობაში უნდა შევიდნენ ქართული სამოქალაქო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოების წარმომადგენლები და საპარლამენტო/პროევროპული პოლიტიკური ოპოზიციის წევრები.

მიგვაჩნია, რომ საჭიროა, ამ საბჭოსთან მჭიდროდ ითანამშრომლოს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა. საბჭოს ამოცანა იქნება, ოპერატიულ რეჟიმში გააკონტროლოს ევროკავშირის მოთხოვნების შესრულება, საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციის გზით აცნობოს საქართველოს მოქალაქეებს იმ დაბრკოლებების შესახებ, რომელსაც ხელისუფლება უქმნის ევროკავშირში შეტანილი განაცხადის წარმატებას და აქტიურად იმუშაოს ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაზე შიდა და გარე წნეხის კოორდინაციის გზით. საბჭოს ამოცანა იქნება, აიძულოს „ქართული ოცნება“, შეასრულოს ყველა ვალდებულება, რომელსაც ევროკავშირი ელოდება ქვეყნის ხელისუფლებისგან, ნათელი გახადოს პასუხისმგებლობის საკითხი ყველა კონკრეტულ ნაბიჯთან დაკავშირებით და ამით უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეების უფლება, ზუსტად იყვნენ ინფორმირებულნი ევროკავშირის დღის წესრიგის გამოწვევებთან დაკავშირებით. „ლელო“ აქტიურ კონსულტაციებს გამართავს ამ საკითხზე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, საპარლამენტო/პროევროპული ოპოზიციის სხვა წევრებთან. ამოცანაა, რომ ამ ეტაპზე ერთიანი ძალისხმევით არ მივცეთ „ქართულ ოცნებას“ უფლება, რომ ქვეყანას საბოლოოდ წაართვას ისტორიული შანსი - ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატის სტატუსი. თუმცა, ცხადია, რომ ეს ხელისუფლება არ უზრუნველყოფს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას. ცხადია, რომ საზოგადოება მუდმივად, იძულების წესით ვერ გაგრძელებს ურთიერთობას საკუთარ მთავრობასთან, რომელიც უნდა წარმართავდეს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესს. ამიტომ, „ლელოს“ პოზიციაა, რომ საქართველოს ევროპული გზის რეალური და საბოლოო წარმატებისთვის საჭიროა პოლიტიკური ცვლილებები და არჩევნების გზით „ქართული ოცნების“ გასტუმრება ქვეყნის მართვის სადავეებიდან“, - ნათქვამია „ლელოს“ განცხადებაში.

სტუდენტებს სავალდებულო სამხედრო სამსახური აღარ შეეხებათ

ია ხატიაშვილი 555 18 48 88

10 მარტს თავდაცვის კოდექსის კანონპროექტში ცვლილებები შევიდა, რომლის თანახმად, სტუდენტებს სავალდებულო სამხედრო სამსახური აღარ შეეხებათ

„ახალი კოდექსით, სტუდენტებს, მხოლოდ მათი სურვილის შემთხვევაში, არდადეგების პერიოდში ან უქმე დღეების ხარჯზე, წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახური მოხდილად ჩაეთვლებათ: თუ სამხედრო წვრთნას გაივლიან ყოველწლიურად, ზაფხულში 1 თვის განმავლობაში, მომდევნო 4 წელი; ან გაივლიან 2-წლიან უმცროს ოფიცერთა მომზადების პროგრამას ისე, რომ ხელი არ შეეშლებათ განათლების მიღებაში, ხოლო სწავლის დასრულებისა და ხარისხის მიღების შემთხვევაში, მიენიჭებათ ლეიტენანტის სამხედრო წოდება, აკადემიური ხარისხის ვერმიღების შემთხვევაში კი - სერჟანტის წოდება; ან გარკვეული კრიტერიუმების შესაბამისად, ჩაირიცხებიან უკვე მოქმედ ანაზღაურებად ტერიტორიულ რეზერვში და იმსახურებენ 4 წლის განმავლობაში წელიწადში 45 დღე, რომლის სამი წლის ამოწურვის შემდგომ, წვევამდელთა ეროვნული სამსახური მოხდილად ჩაეთვლებათ. აღნიშნული პირობებით სარგებლობის საშუალება ექნებათ ასევე, უმაღლესი განათლების მქონე წვევამდელებს“, - წერია თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე აცხადებს, რომ ქვეყანას აუცილებლად უნდა ჰყავდეს კარგად მომზადებული რეზერვი. „ზოგადად, თავდაცვის ძალებს აქვთ 10-წლიანი განვითარების გეგმა. ჩვენნაირი გამოწვევების ქვეყნებისთვის, ცალსახად რეკომენდებულია და პრინციპში, ამას ალტერნატივა არ აქვს, ტოტალური თავდაცვის პრინციპი. ეს გულისხმობს, რა თქმა უნდა, საკონტრაქტო ჯარს და ამავდროულად, იმას, რომ ქვეყანას უნდა ჰყავდეს კარგად მომზადებული რეზერვი. ჩვენ ამ ორივე ამოცანას, მივაღწევთ“, - განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა.

ცნობისათვის: თავდაცვის კოდექსში შესატანი ცვლილებები პარლამენტში 28 დეკემბერს წარადგინეს. კანონპროექტის პაკეტი ამ ეტაპზე კომიტეტებმა განიხილეს და პლენარულ სხდომაზე არ გასულა.

რიგ საკითხებთან ერთად, ახალი კოდექსი სავალდებულო სამხედრო სამსახურსაც ეხება. იცვლება სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადების ან მისგან გათავისუფლების პირობები, მათ შორის სასულიერო პირებისთვის.

რა იცვლება თავდაცვის კოდექსში?

კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ ცვლილებები მიზნად ისახავს თავდაცვის ძალების მართვის ეფექტიანობის ამაღლებას, სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებულ ნორმებში გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებას და თავდაცვის სფეროში არსებული მოქმედი სამართლებრივი აქტების კონსოლიდირებას. გარდა ამისა, დოკუმენტში წერია, რომ აღმოიფხვრება საკანონმდებლო ხარვეზი და გამოირიცხება „არაკეთილსინდისიერი ფიქტიური „რელიგიური ორგანიზაციების“ შესაძლებლობა“, დაეხმარონ ცალკეულ პირებს თავი აარიდონ გაწვევას.

სავალდებულო სამხედრო სამსახურს შეეცვლება სახელი და იქნება - „წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახური“. იგეგმება წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის ვადის შემცირება. კერძოდ, 12-თვიანი ვადის ნაცვლად, შემოთავაზებულია სამსახურის დიფერენცირებული ვადები: საბრძოლო ქვედანაყოფში სამსახურისათვის - 6 თვე; დაცვის ან უზრუნველყოფის ქვედანაყოფში სამსახურისათვის - 8 თვე; უმცროს სამეთაურო თანამდებობებზე და წინასწარ განსაზღვრულ სპეციალობებზე სამსახურისათვის - 11 თვე.

რა იცვლება სასულიერო პირებისთვის?

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, სავალდებულო სამხედრო სამსახურს 18-27 წლის პირები ექვემდებარებიან. ამასთან, მოქმედი კანონით, გაწვევა გადაუვადდება მღვდელმსახურს ან პირს, ვინც სასულიერო სასწავლებელში სწავლობს.

მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების შემთხვევაში კი კონსტიტუციურ შეთანხმებაში პირდაპირ არის გაწერილი, რომ „სასულიერო პირი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულებისაგან“.

ორივე შემთხვევაში შედეგი ერთი დგება - მღვდელმსახური ჯარში აღარ მიდის.

თავდაცვის კოდექსის ამჟამინდელი პროექტის მიხედვით, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების უფლებით სასულიერო პირი ვეღარ ისარგებლებს. როგორც განმარტებით ბარათშია აღნიშნული, „გადავადების აღნიშნული საფუძველი არ არის თავსებადი იმ ხედვებთან, რომელსაც ავითარებს სახელმწიფო თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით“.

სასულიერო პირებს მოუწევთ გაიარონ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური, რომელიც 12 თვე გაგრძელდება.

რუსები საქართველოს ტოვებენ?

რუსული მედიის ინფორმაციით, რუსეთის რეგიონის ვიცე-პრემიერმა ირბეკ ტომაევმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ ოსეთში საქართველოს ტერიტორიიდან შემოსული ადამიანების რაოდენობის ზრდა დაფიქსირდა - გასული კვირის განმავლობაში ზემო ლარსის საგუშაგო 14 ათასზე მეტმა ადამიანმა გადაკვეთა.

„ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ზემო ლარსის გამშვები პუნქტი ორივე მიმართულებით 26 000-ზე მეტმა ადამიანმა გადაკვეთა. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე შემოსული ადამიანების რიცხვი გაიზარდა - 14 000-ზე მეტი ადამიანი“ , - განუცხადა ტომაევმა „რია ნოვოსტის“.

სააგენტო წერს, რომ ინფორმაცია რუსეთის შესასვლელებთან საცობების შესახებ გასულ კვირას საქართველოში საპროტესტო აქციების ფონზე გაჩნდა.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

ჩინეთის ლიდერი სი ძინპინი მომავალ კვირაში მოსკოვს ეწვევა, - ინფორმაციას სააგენტო „როიტერი“ ავრცელებს. გამოცემის ცნობით, სი ძინპინი რუსეთის პრეზიდენტს შეხვდება. ამ დღეებში ვლადიმერ პუტინმა ჩინეთის ლიდერს ქვეყნის სათავეში მესამე ვადით არჩევა მიულოცა და განაცხადა, რომ რუსეთი დიდად აფასებს სი ძინპინის პირად წვლილს ორ ქვეყანას შორის ყოვლისმომცველი პარტნიორობის გაღრმავებაში.

* * *

ბრიტანული გამოცემა „ტელეგრაფის“ ინფორმაციით, პოლონეთმა ბოლო 50 წლის განმავლობაში შეიარაღების ყველაზე მასშტაბური კამპანია დაიწყო. გამოცემის ცნობით, წელს ქვეყანა თავდაცვაზე მთლიანი შიდა პროდუქტის ოთხ პროცენტს დახარჯავს, რაც ნატოს მიერ მოთხოვნილ მინიმალურ სტანდარტს ორჯერ აღემატება. „ტელეგრაფი“ წერს, რომ ახალი სამხედრო ტექნიკის შეძენა პოლონეთმა ჯერ კიდევ უკრაინაში რუსეთის შეჭრამდე დაიწყო, თუმცა უკრაინის ომმა პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა.

* * *

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი რიში სუნაკი აპირებს ბოლო ორ წელიწადში ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტი 5 მილიარდი ფუნტი სტერლინგით (დაახლოებით 6 მილიარდი აშშ დოლარით) გაზარდოს, - ინფორმაციას ამის შესახებ „ტელეგრაფი“ ავრცელებს. გამოცემის ცნობით, დიდი ბრიტანეთის თავდაცვის ხარჯებმა 2021-2022 წელს 71,4 მილიარდი ფუნტი სტერლინგი შეადგინა.

* * *

7-წლიანი პაუზის შემდეგ, ირანი და საუდის არაბეთი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე შეთანხმდნენ. მხარეებმა განცხადება ჩინეთში ოთხდღიანი მოლაპარაკებებისას გააკეთეს. საუდის არაბეთმა ირანთან ურთიერთობა 2016 წლის იანვარში გაწყვიტა, როდესაც ოფიციალური რიადის მიერ ცნობილი შიიტი მუსლიმი სასულიერო პირი სიკვდილით დასაჯეს, შემდეგ კი დემონსტრანტები თეირანში საუდის არაბეთის საელჩოში შეიჭრნენ.

* * *

თურქეთში მომხდარი მიწისძვრების შედეგად გარდაცვლილთა რიცხვმა 48 000-ს მიაღწია. ქვეყნის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის განცხადებით, დაშავებულია 115 000-ზე მეტი ადამიანი, დაახლოებით 50 000 შენობა კი დაინგრა. ერდოღანმა მადლობა გადაუხადა იმ ქვეყნებს, რომლებმაც თურქეთს დახმარება აღმოუჩინეს. „ასობით ქვეყანამ გამოგვიგზავნა დახმარება, გამოგვიგზავნა მაშველები. ძალიან მადლობელი ვარ მათი“, - აღნიშნა მან. 6 თებერვალს თურქეთსა და სირიაში ორი ძლიერი მიწისძვრა მოხდა. მიწისძვრების სიმძლავრე 7.7 და 7.6 მაგნიტუდა იყო.

* * *

ეგეოსის ზღვაში ნავის ჩაძირვის შედეგად 5 მიგრანტი დაიღუპა. თურქმა მაშველებმა 11 მგზავრის გადარჩენა მოახერხეს, კიდევ 5 მგზავრი იპოვეს ბერძენმა მაშველებმა. გადარჩენილები ამბობენ, რომ ნავზე 31 ადამიანი იმყოფებოდა. სამძებრო-სამაშველო სამუშაოები გრძელდება.

მოამზადა
ია შველიძემ

წიგნი – ენციკლოპედია, წიგნი – ფოლიანტი

შალვა აბაშიძეს საზოგადოების წინაშე წარდგენა არ სჭირდება. მისი პუბლიცისტური ხასიათის წერილები ხშირად ქვეყნდება ქართულ პერიოდულ პრესაში. სპეციალობით ისტორიკოსი, რამდენიმე წიგნისა და ასზე მეტი პუბლიცისტური წერილის ავტორია. მისი ნაშრომები ძირითადად ეხება აჭარის ისტორიულ წარსულს. ამჟამად მკითხველის სამსჯავროზე ბატონ შალვას კიდევ ერთხელ გამოაქვს მშობლიური ქედის რაიონის ისტორია პოეტური სათაურით „დედაო - ჩემო ქედაო“, რომელიც რუსთაველის პრემიის ლაურეატ პოეტ ფრიდონ ხალვაშს ეკუთვნის. საარქივო მასალებზე, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობითა და მათი შეჯერებაანალიზის საფუძველზე, ავტორი წარმოგვიდგენს ქედის რაიონს უძველესი დროიდან დღემდე, გვიჩვენებს, თუ როგორ იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები ურიცხვი მტრის წინააღმდეგ, რანი ვიყავით და რანი ვართ.





ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ეს წიგნი დაიწერა საქართველოს იმ კუთხეში, რომელიც თითქმის 300 წლის განმავლობაში უცხო კულტურის ძალადობას განიცდიდა, თურქთა უღლის ქვეშ გმინავდა, მაგრამ „აჭარლებმა ენასა და ეროვნებას არ უღალატეს და თავით ფეხებამდის დარჩნენ ქართველებად“ (ი. გოგებაშვილი).

ქედის რაიონის ისტორიაზე, მისი მეურნეობის ცალკეულ დარგებზე, სოფლებსა და შრომისმოყვარე ადამიანებზე არაერთი ნაშრომია შექმნილი, მაგრამ არცერთი არ არის მონოგრაფიული. შალვა აბაშიძის ნაშრომი ამ მხრივ გამორჩეულია.

სარეცენზიო წიგნის ღირებულება დიდია იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი აჭარაში (და არა მარტო აჭარაში) ამ ტიპის პირველი ნაშრომია. ასე რომ, ამ მხრივ ბატონი შალვა პირველი მერცხალია, რაც ავტორის გამოცდილებასა და დიდ ნიჭიერებაზე მეტყველებს.

ქედის ისტორიის შესაქმნელად ავტორს ჩაუტარებია კოლოსალური შრომა: დაუძებნია თემასთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურა, საარქივო მასალები, გასაუბრებია უამრავ ხანდაზმულ ადამიანს, მეცნიერ-მუშაკს და შეუქმნია შესანიშნავი ნაშრომი, რომელიც, რაც უნდა დრო გავიდეს, ფასს არ დაკარგავს. ეს არის წიგნი - ენციკლოპედია, თითქმის ვერ ნახავთ საკითხს, რომელიც აქ არ არის გაშუქებული.

ნაშრომის შესავალში ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს თემის აქტუალობას და შემდეგ დაწვრილებით განიხილავს ყველა საკითხს, ყურადღების გარეშე არ ტოვებს საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთ მხარეს, რაიონში არსებულ დიდ თუ მცირე დაწესებულებასა და მათ ხელმძღვანელებს. შესავლის შემდეგ იძლევა ქედის რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებას, მიმოიხილავს მატერიალურ-კულტურულ ძეგლებს, აქ არსებულ უძველეს ხიდებსა და ეკლესიებს, რაიონს - ადრეფეოდალური ხანიდან საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებამდე, ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში, აჭარელთა გამუსლიმანებას ოსმალთა ბატონობის დროს, ადგილობრივ მკვიდრთა ბრძოლას უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ, საქართველოს შეერთებას რუსეთთან და მის შემდგომ პერიოდს, აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს, ქედის რაიონს პირველი და მეორე მსოფლიო ომის წლებში, სოფლის მეურნეობის, განათლების, კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების აღმავლობას, ამ დარგების გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, შინმოუსვლელ, რეპრესირებულ და ომგადახდილ ადამიანებს, ქედას მოგზაურთა თვალით (ჟან შარდენი, ჯიფორდ პალგრეივი, ევგენი ვეიდენბაუმი, დიმიტრი ბაქრაძე, თედო სახოკია, ზაქარია ჭიჭინაძე), სკოლებს, საავადმყოფოებს, მათში დასაქმებულ ადამიანებს, რაიონის კლუბებსა და ბიბლიოთეკებს, მუზის მსახურთ ქედის რაიონიდან და კიდევ მრავალ სხვა საკითხს.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ასევე ისტორიულ ძეგლებზე (ზედა მახუნცეთის, ქედის, ნამონასტრევის ეკლესიებზე, დანდალოს, კორომხეთის, ზენდიდის, ძენწშანის ციხესიმაგრეებზე და სხვა).

ავტორს ეამაყება და ხაზს უსვამს, რომ ქრისტიანობის აკვანი საქართველოში აჭარაში დაირწა და შემდეგ გავრცელდა მთელ ქვეყანაში.

სარეცენზიო ნაშრომი შალვა აბაშიძემ პირველად 2017 წელს გამოსცა, რომელიც მაშინვე დაიტაცეს მკითხველებმა. შემდეგ ავტორმა კვლავ განაგრძო დასახელებულ ნაშრომზე მუშაობა და 2020 წელს წარმოგვიდგინა მისი ახალი ვარიანატი, რამაც წიგნის მოცულობა და მკითხველთა ინტერესი ერთი ორად გაზარდა. ავტორმა აღნიშნული ნაშრომის მეორე გამოცემა შეავსო ახალი, მეტად საყურადღებო მასალებით. კერძოდ, დაწვრილებით მოგვითხრობს იგი პირველ ადგილობრივ სასულიერო პირზე - წმინდა სევერიანეზე, ცხორისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის შესახებ, ასევე სოფელ ალიქოღლების (ამჟამად სოფ. ოქტომბერი) მკვიდრ ახმედ ხალიფაშვილზე, რომელიც მკაცრად ილაშქრებდა აჭარელთა მუჰაჯირობის წინააღმდეგ, ქედის რაიონში არსებულ პირველ ბიბლიოთეკაზე, პედასსწავლებელზე, ბანკზე, სტატისტიკის სამსახურზე, ადგილობრივ მრეწველობაზე, სავჭრო მომსახურებაზე, ელექტროსადგურ „აწჰესის“ მშენებლობაზე, ცნობილ ადამიანებზე და ა. შ.

ამჟამად ჩვენ ვსაუბრობთ წინამდებარე ნაშრომის მესამე გამოცემაზე, რომელიც გასული წლის მიწურულს გამოიცა. აქ ავტორმა შეიტანა კიდევ ახალი საკითხები, რომ ორიცაა: აჭარა მონღოლთა ბატონობის დროს, თავადაზნაურობა და მათი ოჯახები ქედის რაიონში, საცხოვრებელი სახლები, სახმელეთო ტრანსპორტი, სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი, ბრძოლა აჭარის ავტონომიისათვის, ავღანეთის ომის ვეტერანები, ომგადახდილები მშვიდობის ფრონტზე, ზრუნვა მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ხელოვნება და კულტურა ქედის რაიონში, ქართული ქორეოგრაფია, ხალხური მუსიკალური კულტურა, ხალხური დღესასწაულები, ტურიზმი რაიონში, არსებულ ქართულ სკოლებში არცერთი ადგილობრივი კადრი არ მუშობდა. მასწავლებლები, ძირითადად, გურიის, იმერეთისა და სამეგრელოს სკოლებიდან იყვნენ მოვლინებულნი. ბატონი შალვა სარეცენზიო ნაშრომში მოგვითხრობს იმაზე, თუ როდის გაიხსნა ამა თუ იმ სოფელში სკოლა, ვინ იყო პირველი მასწავლებელი, ვინ ხელმძღვანელობდა სკოლას მაშინ და ვინ ხელმძღვანელობს დღეს. მისი სამართლიანი აზრით, ამ ადამიანების წინაშე ყველა ჩვენგანი ვალში ვართ და მათი დავიწყების უფლება არ გვაქვს. ამიტომაც დავუთმეთ აღნიშნული პედაგოგების ცხოვრებასა და მოღვაწეობას ორი ვრცელი ნაშრომი - „ერისა და ქვეყნის მსახურნი“ (ბათუმი, 2015) და „უჩინარი მხვნელ-მთესველნი გონებრივი ყანისა“ (ბათუმი, 2016). მათში გაშუქებულია 400-ზე მეტი დამსახურებული მასწავლებლის ცხოვრება და მოღვაწეობა.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მონოგრაფია შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, გამართული ლიტერატურული ენით, იკითხება საინტერესოდ, თავისუფლად, ლაღად და ძალდაუტანებლად. მასში ყველა რანგისა და განათლების ადამიანი იპოვის მისთვის საჭირო მასალას.

ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს აჭარისა და, კერძოდ, ქედის რაიონის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს, ხელს შეუწყობს მომავალი თაობის ერისა და ქვეყნის ჭეშმარიტ მსახურებად ჩამოყალიბებას, რამეთუ „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი“ (ი. ჭავჭავაძე). მისი საფუძვლიანად ათვისების გარეშე, აწმყოს აშენება შეუძლებელია, აწმყოს გარეშე კი მომავალი არ არსებობს. „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“, - ამბობდა ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი. ამიტომ, ახალგაზრდობის ვალია, თვალი შეავლოს ჩვენს ისტორიულ წარსულს და მის წინსვლა-განვითარებაზე იფიქროს. აქედან გამომდინარე, ეს ნაშრომი ყველამ უნდა წაიკითხოს და ღრმად გააზროს იმ ადამიანთა საქმიანობა, ვინც თავისი შრომითა და სასახელო მოღვაწეობით სახელი გაუთქვა ქედის რაიონსა და აჭარას. მათი ცხოვრების, ბრძოლისა და შრომის მაგალითზე ახალგაზრდობა ისწავლის, როგორ ემსახუროს ქვეყანასა და ხალხს ისე, რომ სიკვდილის შემდეგ დავიწყებას არ მიეცეს მისი სახელი.

> *„ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას დაწვრილებით, სკრუპულოზურად შეუსწავლია ეს საკითხი და წარმოუდგენია ნაშრომში. იგი მოგვითხრობს აჭარის თურქთა სამასწლიანი ბატონობის უღლიდან გათავისუფლებისა და დედასამშობლოსთან შემოერთების შემდეგ ქართული სკოლების გახსნასა და მასწავლებელთა კადრებზე. ამ მხრივ არა მარტო ქედის რაიონში, არამედ მთელ აჭარაში საგანგაშო მდგომარეობა იყო*

XVII საუკუნის დიდი ინგლისელი ფილოსოფოს-მატერიალისტი ფრანსის ბეკონი წერდა: „არის ისეთი წიგნები, რომლებსაც მხოლოდ გემო უნდა გაუსინჯო, ისეთებიც არის, რომლებიც უმჯობესია გადაყლაპო, მხოლოდ მცირეა ისეთი, რომელთა დაღეჭვა და მონელება მართლაც ღირს“. სწორედ ამ უკანასკნელთა რიცხვს განეკუთვნება სარეცენზიო წიგნი - ფოლიანტი.

აღნიშნული მონოგრაფიის გამოცემით, პუბლიცისტმა შალვა აბაშიძემ უკვდავების ძეგლი დაიდგა. გვჯერა, რომ მას სხვა რაიონის მკვიდრნიც მიბაძავენ და ჩვენს ისტორიოგრაფიას გაამდიდრებენ საინტერესო ნაშრომებით, რითაც მომავალი თაობა გაიგებს, რანი ვიყავით და რანი ვართ.

დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ, რომ სარეცენზიო ნაშრომის ავტორი ამ წიგნით ნამდვილად იმსახურებს ისტორიის აკადემიური დოქტორის ხარისხს. რადგან იგი სავსებით აკმაყოფილებს ყველა იმ პირობას, რაც სადისერტაციო ნაშრომს მოეთხოვება.

ნოდარ ბასილაძე,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

„ბატუტის საქმე“

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბათუმში მომხდარი უბედური შემთხვევის ფაქტზე, რა დროსაც „ბატუტის“ გადაბრუნების შედეგად ბავშვი დაიღუპა, პოლიციამ ერთი პირი დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების შედეგად, მიმდინარე წლის 12 მარტს ბათუმის ბულვარში მომხდარი ფაქტის გამოძიების ფარგლებში ერთი პირი - 1958 წელს დაბადებული ე. ა. დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ ძლიერი ქარის გამო, ბათუმის ბულვარში მდებარე ე. წ. ბატუტი გადაბრუნდა, რა დროსაც კონსტრუქციაზე მყოფი ორი მცირეწლოვანი დაშავდა, რომელთაგან ერთ-ერთი - 2014 წელს დაბადებული დ. პ. მიღებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა. მომხდარის გამო დაშავდა კიდევ ერთი მოქალაქე. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებული პასუხისმგებელი იყო ბულვარში განთავსებული აღნიშნული ე. წ. ბატუტის უსაფრთხოებასა და ექსპლუატაციის წესების დაცვაზე, თუმცა მან დაკისრებული ვალდებულებების შესრულება ვერ უზრუნველყო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს უსაფრთხოების წესის დარღვევას, რასაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

ბათუმის ბულვარში მომხდარ ტრაგედიას გამოეხმაურა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე. მან მიუსამძიმრა გარდაცვლილი მოზარდის ოჯახს და აღნიშნა, რომ მომხდარს ადეკვატური რეაგირება მოჰყვება.

„ბათუმის ბულვარში დატრიალებულმა ტრაგედიამ შეძრა თითოეული ჩვენგანი. გულითადად ვიზიარებ გარდაცვლილი მოზარდის ოჯახის, ახლობლებისა და მეგობრების უდიდეს მწუხარებას. გამოჯანმრთელებას და ოჯახში მალე დაბრუნებას ვუსურვებ ტრაგედიის დროს დაშავებულ კიდევ ერთ მცირეწლოვანს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფაქტზე გამოძიება მყისიერად დაიწყო, დაკავებულია ერთი პირი უსაფრთხოების წესების დარღვევის ბრალდებით. გამოძიება ტრაგედიის ყველა დეტალს ნათელს მოჰფენს და განხორციელდება ადეკვატური რეაგირება“ , - განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ.

ამირან ბურიელიძე

„შემდგარი ადამიანია ის, ვინც საკუთარი ქვეყნის წარმატებისა და განვითარებისთვის იბრძვის“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ქვეყნის წარმატებულ განვითარებას რომ მაღალკვალიფიციური კადრები განაპირობებს, ეს დრომ დიდი ხანია ცხადყო. ამიტომ ხარისხიანი განათლების აუცილებლობა ამ ეტაპზე პრიორიტეტულია და მის ეფექტურობას საგანმანათლებლო სივრცეში აპრობირებული გაცვლითი პროგრამები უზრუნველყოფს სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტების ბაზაზე... ამ პროგრამებში ქართველი სტუდენტებიც მონაწილეობდნენ, მათ შორის ბათუმელებიც. ბსუ-ის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ***ანა გორგილაძე****, რომელიც ამ პროგრამის ერთ-ერთი წარმატებული მონაწილეა, დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია.*

- სტუდენტობამდე ანუ მოსწავლეობის პერიოდში სასურველი პროფესიისთვის როგორ ემზადებოდით?

- მოსწავლეობის პერიოდში არ ვიცოდი, რა პროფესიას ავირჩევდი, რადგან ყველაფერი მაინტერესებდა: უცხო ენები, ქიმია, მათემატიკა, ლიტერატურა, ხელოვნება და ა. შ. თუმცა ბოლო დროს არჩევანი საერთაშორისო ურთიერთობებზე შევაჩერე. საკმაოდ ფართო სფეროა, რომელიც მრავალმხრივი განვითარების საშუალებას იძლევა, თანაც ყოველთვის მინდოდა მცირე წვლილის შეტანა საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაში. ასე რომ, საერთაშორისო ურთიერთობები საუკეთესო არჩევანი იყო.

- ანა, დიდი წარმატება მოიპოვეთ, გაცვლითი პროგრამით ზალცბურგის უნივერსიტეტში სწავლობთ. გილოცავთ, წარმატების გზაზე სირთულეების გადალახვა მოგიხდათ, ალბათ...

- დიახ, „ერასმუსის“ კონკურსის მოგება საკმაოდ რთულია, რადგან დიდია კონკურენცია. თანაც ხანდახან კონკურენცია არა მხოლოდ უნივერსიტეტის, არამედ ქვეყნის მასშტაბითაც არის ხოლმე. პირველი მცდელობისას არ გამიმართლა, თუმცა დანებება არც დამიპირებია, ძალიან მინდოდა გაცვლითი პროგრამით წავსულიყავი სადმე და მესწავლა. ამ პროგრამაში მონაწილეობისთვის აუცილებელია ინგლისური ენის კარგად ცოდნა, რაც მხოლოდ უცხო ენის ტესტით არ გამოიხატება. სამოტივაციო წერილიც ინგლისურად იწერება, მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. სწორედ მასზე დავხარჯე დიდი ენერგია და დრო, რომ კარგად დამეწერა. არ იყო მარტივი, ძალიან ბევრი „შავი“ წერტილი დავსვი, თუმცა საბოლოო ვერსიამდეც მივედი.

- ბსუ-ის უნივერსიტეტს განსაკუთრებით ემადლიერებით...

- როცა ბსუ-იში ვაბარებდი, ვიცოდი მისი გაცვლითი პროგრამების შესახებ და სწორედ ამიტომაც ჩავაბარე აქ. ძალიან მიხაროდა, ამდენი შესაძლებლობა რომ არსებობს. საქართველოში მრავალი უნივერსიტეტია, რომელთა გაცვლითი პროგრამების რაოდენობა ბსუ-თან შედარებით ბევრად მცირეა. ასე რომ, ძალიან მადლიერი ვარ.

- თქვენ გარდა, სხვა ქართველი თუ სწავლობს ზალცბურგის უნივერსიტეტში, ძირითადად, რომელი ქვეყნის წარმომადგენლები სჭარბობენ?

- ზალცბურგის უნივერსიტეტში ბევრი ქართველია, ზოგი თბილისიდანაა, ზოგი - ბათუმიდან, ჩვენი უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული. თუმცა სხვა ქვეყნის წარმომადგენელი ბევრად მეტია, განსაკუთრებით იაპონელები და სამხრეთ კორეელები. ასევე, ბევრი სტუდენტი იყო სხვადასხვა ევროპული ქვეყნიდან: საფრანგეთიდან და ირლანდიიდან, ბოსნია-ჰერცოგოვინიდან, სლოვაკეთიდან, გერმანიიდან, აშშ-დან და სხვა. ფაქტობრივად, მთელი მსოფლიო შევიკრიბეთ.

- ზალცბურგის უნივერსიტეტში სწავლებამ რა შეცვალა თქვენს ცხოვრებაში, მენტალიტეტში?

- ჩემს ცხოვრებაში უამრავი ახალი ადამიანი შემოიყვანა, რომლებთანაც ახლაც ვმეგობრობ და ჩემთვის ძალიან ძვირფასები არიან. მე პირადად უფრო დამოუკიდებელი და პასუხისმგებლიანი გავხდი, რაც მარტო ცხოვრების გამოცდილებამ მომიტანა. გარდა ამისა, ზალცბურგში წასვლამდე თეორიულად ვიცოდი, რა მინდოდა სამომავლოდ, ხოლო იქ უკვე გავაცნობიერე, რა გავაკეთო, როგორ დავეხმარო ბათუმის საზოგადოებას და საითკენ მინდა მიისწრაფოდეს ჩემი ქვეყანა.

- თუ ავსტრიისა და ქართული უნივერსიტეტების სასწავლო პროცესს შეავადარებთ, როგორი იქნება სურათი?

- სრულიად განსხვავებული სასწავლო სისტემაა ავსტრიის. არა მხოლოდ უნივერსიტეტებში, არამედ სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებლებშიც. გამოცდებიც სხვანაირია და თავისუფლებაც, არჩევანიც მეტია. ამასთან, უფრო რთულიცაა, მეტის გაგებაც და სწავლაც არის შესაძლებელი.

- როგორია იქაურთა ცხოვრების წესი, როგორც გავიგე, ბევრი ქალაქი მოინახულეთ...

- ძალიან მომეწონა ავსტრიელები. სტერეოტიპების გამო, სამწუხაროდ, მეგონა, რომ საკმაოდ ცივი ხალხია, თუმცა უმეტესობა ასეთი არ არის. პირადად მე ვინც გავიცანი, ასევე უნივერსიტეტის თანამშრომლები, და პროფესორები, საერთო საცხოვრებლის პერსონალი, ყველანი ძალიან თბილი და პოზიტიურები იყვნენ. ისიც მომეწონა, რომ ძალიან აქტიურები არიან: მთებში დადიან სალაშქროდ დასვენების დღეებში, ან ქემფინგზე და ა. შ. უამრავი ჯანსაღი ჰობი აქვთ. ყოველთვის ცდილობენ, თავისუფალი დრო პროდუქტიულად გაატარონ და საკუთარ ოჯახებთან, მეგობრებთან ერთად იყვნენ.

- შემდგარი ადამიანი როგორი წარმოგიდგენიათ?

- შემდგარი ადამიანია ის, ვინც საკუთარი ქვეყნის წარმატებისა და განვითარებისთვის იბრძვის.

- სულიერი ზრდისთვის რას აკეთებთ, ანუ ლიტერატურა, ხელოვნება და თქვენ...

- მხატვრული ლიტერატურის მოყვარული არ ვარ, თუმცა დეტექტივები მიყვარს, რადგან ამოცანების ამოხსნა მიყვარს. აგათა კრისტი ჩემი საყვარელი მწერალია. უფრო დიდი ადგილი ჩემს ცხოვრებაში უკავია მუსიკას, რომელიც ბავშვობიდან ძალიან მიყვარს. მუსიკალურ სკოლაშიც დავდიოდი. დღემდე ვმღერი ხოლმე, ჩემთვის ოღონდ. ცუდ გუნებას ყოველთვის კარგი მუსიკა შველის. ხატვაც ძალიან მიყვარს და ზოგადად, რაღაცების შექმნა... ქარგვასაც ვსწავლობ.

- როგორია თქვენი ერთი დღე?

- ერთი დღის ზოგად სურათს ვერ აღვწერ, ყოველთვის განსხვავებულის გაკეთება მინდება ხოლმე, თუმცა ძირითადი დრო მიდის სამუშაოსა და სწავლაში, ასევე ვარჯიშში.

- ყველაზე ბედნიერი სად და როდის ხართ?

- ყველაზე ბედნიერი ვარ სახლში და მაშინ, როდესაც ჩემი ოჯახის წევრები და მეგობარები არიან ბედნიერნი.

- ბოლოს რა წაიკითხეთ?

- ბოლოს აგათა კრისტის „ჰიკორი დიკორი დოკ“ წავიკითხე, საკმაოდ საინტერესო ქეისია.

- დაბოლოს, ბათუმი და თქვენ...

- ზალცბურგში წასვლისას ვფიქრობდი, როგორც იქნა სადმე მივდივარ-მეთქი. ძალიან მინდოდა ქალაქიდან გამგზავრება, რადგან ერთფეროვნებამ მომაბეზრა თავი. თუმცა იქ ყოფნისას ბათუმი და ჩემი ოჯახი ძალიან მომენატრა და ბოლოს უკვე ერთი სული მქონდა, უკან როდის დავბრუნდებოდი, დიდი ადგილი უკავია ბათუმს ჩემს ცხოვრებაში, ჩემი სახლია.

> *„უფრო დამოუკიდებელი და პასუხისმგებლიანი გავხდი, რაც მარტო ცხოვრების გამოცდილებამ მომიტანა. გარდა ამისა, ზალცბურგში წასვლამდე თეორიულად ვიცოდი, რა მინდოდა სამომავლოდ, ხოლო იქ უკვე გავაცნობიერე, რა გავაკეთო, როგორ დავეხმარო ბათუმის საზოგადოებას და საითკენ მინდა მიისწრაფოდეს ჩემი ქვეყანა*

სპორტი

აჭარის პირადი პირველობა - ქართულ ჭიდაობაში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

თებერვლის ჭირვეულმა ამინდებმა აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ღონისძიებათა კალენდარში გარკვეული ცვლილებები შეიტანა. იმის გამო, რომ აჭარის მთიანეთის მუნიციპალიტეტებში დიდთოვლობა იყო, სპორტსმენების მობილიზება შეუძლებელი გახდა და თებერვალში ჩანიშნული აჭარის პირადი პირველობა 2006-2008 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის ქართულ ჭიდაობაში, 11 მარტს ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის დარბაზში (სოფელი ახალსოფელი) ჩატარდა. მასში 42 სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა

ასპარეზობის მონაწილეებს მიესალმნენ აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ჯემალ წულუკიძე, ვეტერანი სპორტსმენი, წარსულში ეროვნული სტილით მოჭიდავე ნოდარ ცინცაძე, ახალსოფლის საჯარო სკოლის დირექტორი ტარიელ მიქელაძე.

ჯემალ წულუკიძემ ქართული ჭიდაობის განვითარების, პოპულარიზაციისა და თანადგომის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისათვის ფედერაციის მადლობის სიგელით დააჯილდოვა ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის გოგონათა ძიუდოს ნაკრების მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნანი კირკიტაძე.

სპორტული ასპარეზობის მონაწილეებს ქართული ჭიდაობის წესები, რეგლამენტი და მსაჯთა ბრიგადა გააცნო პირველობის მთავარმა მსაჯმა, აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა გელა ზოიძემ.

მოჭიდავეები 8 წონით კატეგორიაში ასპარეზობდნენ.

46, 50, 55, 60, 66, 73, 81-კილოგრამ და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ: ლაშა გაბედავა (ბათუმი), დათო ბერიძე (ბათუმი), ვაჟა მჟავანაძე (შუახევი). ამ წონით (55 კილოგრამი) კატეგორიაში ფინალში ერთმანეთს შუახეველები დაუპირისპირდნენ. ვაჟა მჟავანაძემ საბა ხიმშიაშვილს მცირე უპირატესობით აჯობა. დანარჩენ წონით კატეგორიებში უძლიერესები ქობულეთელები: ლაშა და ომარ აბაშიძეები, ბათუმელი რეზო ბოლქვაძე, ქედელი ზურაბ მამულაძე, ხულოელი საბა ცეცხლაძე იყვნენ.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილზე გასული მოჭიდავეებით დაკომპლექტდა აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც საქართველოს პირად პირველობაზე 2006-2008 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის, აპრილში იასპარეზებს.

საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციამ შესაბამისი სინჯის მედლებით, სიგელებით, თასებით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

პირველობა აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ორგანიზებითა და აჭარის სპორტის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.

- შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ ქართულ ჭიდაობაში მოასპარეზე სპორტსმენები საბრძოლო ოსტატობას დღითიდღე იუმჯობესებენ. მწვრთნელები თაობათა ცვლის პროცესს კარგად მოერგნენ. სულ მალე, სოფელ ერგეში, ქართული ჭიდაობის ჯგუფი იმუშავებს, რომელსაც სპორტის ამ სახეობის ცნობილი სპეციალისტი ნოდარ ცინცაძე უხელმძღვანელებს. ამჯერად, ჩვენი მიზანი საქართველოს პირველობაზე წარმატებით გამოსვლაა, - გვითხრა ჯემალ წულუკიძემ.

«მშობლიური მიწის ფასს მაშინ იგებ, როცა მას იძულებით ჩამოგაცილებენ»

ოთხმოცი წელი უკან მოიტოვა წელათელი ვაშაყმაძეების შთამომავალმა ნათელა ვაშაყმაძე-ფუტკარაძემ. მისი ცხოვრება, შრომა საუკეთესო მაგალითია თაობებისთვის

- პირველ რიგში, მადლობა, რომ თქვენმა გაზეთმა პატივი დამდო და დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მომწერის, ცნობილი ქართველოლოგის, ქალაქ ბათუმის პირველი პრეფექტის და კიდევ სამი ვაჟკაცის გამზრდელი დედა უყურადღებოდ არ დამტოვა. ჩვენი წინაპრები იმერეთის ვანიდან ჯერ სხალთის ხეობის სოფელ ყინჩაურში დამკვიდრებულან. იქ გაჩენილი ეპიდემიის (ციება) გამო, კვლავ დაუწყიათ ახალი საცხოვრისის ძიება და წელათში დასახლებულან. 21-ე საუკუნის დასაწყისში წელათში ვაშაყმაძეთა 12 ოჯახი ცხოვრობდა. ახლა მხოლოდ 3 კომლიღა შემორჩა. მათ შორისაა ჩემი ძმა - ყაზბეგი. ისე, წელათიდან ქვეყნის სხვადასხვა რაიონსა და ქალაქში 40-ზე მეტი ოჯახია დამკვიდრებული.

- მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში დაიბადეთ. ყველას მსგავსად, გაუსაძლისი ბავშობა გექნებოდათ...

- ძალიან მძიმე. მამა - შერიფი, ალალმართალი, მშრომელი კაცი იყო. ძლიერს, კარგს ბევრი მტერი ჰყავს... მესამე კლასში ვიყავი, ოჯახთან ერთად ყაზახეთის რესპუბლიკის პერენდა წამოღებული. მამას, დედას - ესმა ფუტკარაძეს ვუმადღი, სამათხოვროდ არ გვქონდა საქმე. მრავალი განსაცდელის, ტანჯვა-წვალების მიუხედავად, მამას ცხოვრებაზე აუგი არ დასცდენია. ადამიანი მშობლიური მიწის ფასს მაშინ გაიგებ, როცა მას იძულებით ჩამოგაცილებენ. შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს ამაგს რომ მოვუყვები, ვცდილობ, ყველაფერი შეულამაზებლად ვუთხრა.

- დედის სიძლიერე შვილთმრავლობაშია...

- მერვე კლასის მოსწავლე ვიყავი, როცა ტომაშეთელმა ალექსანდრე ფუტკარაძემ სიყვარული ამიხსნა. ხელის მთხოვნელს დასაწუნი არაფერი ჰქონდა. ნეტავი ყველა ქალს ისე გამართლებოდეს, როგორც მე. დედამთილი და მამამთილი მხარში მედგნენ. ალექსანდრესაც შევუწყვე ხელი, რომ კვალიფიციური განათლება მიეღო. ცხოვრების მთავარი საჩუქარი პირველი პირმშოს - ტარიელის გაჩენა იყო. კიდევ თემური, ავთანდილი და ფრიდონი გავუზარდე ტომაშეთელი ფუტკარაძეების ოჯახს. ოთხივე შვილმა კარგი ოჯახი შექმნა. იმერელი ია ვაშაკიძე, გოგაძეებელი გული თურმანიძე, ჩაქველი ნარგიზ ბერიძე, ტომაშეთელი ნესტან ფუტკარაძე ჩემი რძლები არიან. 11 შვილიშვილი და 10 შვილთაშვილია ჩემი შთამომავალი. ორს კიდევ ველოდები.

- უფროსი შვილი ტარიელი ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მომწერი იყო. მასთან ერთად დიდი განსაცდელი გამოიარეთ...

- ალექსანდრეს კომუნისტურ ეპოქაში საკმაოდ კარგი თანამდებობები ეჭირა. ერთ ხანს ადგილობრივ გაზეთ «დროშის» რედაქტორი იყო. წლების განმავლობაში შუახევის კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ იმუშავა. ტარიელის აქტიურობა მისთვისაც და ჩვენთვისაც მისაღები იყო. ერთ შემთხვევასაც ვერ გავიხსენებ, რომ ტარიელის არჩეული გზა დაეწუნებინოს, პირიქით, ყოველ ნაბიჯს უწონებდა, რაც კარგადაა წარმოჩენილი მის წიგნში, რომელიც ოჯახს რელიკვიად შემოგვრჩა. ტარიელი ბათუმის პირველ პრეფექტად რომ დანიშნეს და ასლან აბაშიძის ფეოდალურ რეჟიმს დაუპირისპირდა, ჩვენი შევიწროება, ფარული დევნა დაიწყო... გავუძელით. ჩემი შვილი სამსახურებრივ კარიერას რომ გაჰყოლოდა, ისეთი სახელით ქვეყანას ვერ შემორჩებოდა, როგორიც 60 წელს მიახლოებულმა დატოვა. სხვა რომ არაფერი ვთქვა, მარტო მასზე დაწერილი ის ნოველებიც საკმარისია, მწერალ გიორგი სოსიაშვილს რომ ეკუთვნის. ალექსანდრეც ადრე გარდაიცვალა, 60 წელსაც არ იყო მიტანებული, თანაც იმ დროს, როცა ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები აწეწილი იყო. ტარიელისა და ჩემი თანადგომის შედეგია, რომ შვილებმა, შვილიშვილებმა ცხოვრებაში სწორი გზა აირჩიეს, ახლა ტარიელის მეუღლეს ია ვაშაკიძეს აწევს ოჯახის ტვირთი, შვილებიც უმართლებენ. მამის კვალს ქართულ ენათმეცნიერებაში ღირსეულად აგრძელებს ნათია ფუტკარაძე. ჩემი ტარიელი აჭარის სახელოვან მკვიდრთაგან პირველია, რომელიც მახათას მთაზე, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში განისვენებს. არ დამავიწყდება იანვრის ის თოვლიანი და ცივი დღე, რომელიც ტარიელის დაკრძალვისას იყო. დარდს მიმსუბუქებდა იმ ადამიანების ხილვა, რომლებიც მას უკანასკნელ გზაზე მიაცილებდნენ - მეამაყება, რომ ასეთი შვილის გამზრდელი დედის სახელს ვატარებ.

- დედისთვის გამორჩეული შვილი არ არსებობს...

- არ გედავებით. ტარიელი წუთისოფლიდან წასულია და განსაკუთრებული ყურადღება ამიტომაც შევაჩერე მასზე. ჩემი თავი შემოევლოთ თემურს, ავთანდილს და ფრიდონს. ისინი საქმეზე, პროფესიაზე შეყვარებული სახელმწიფო მოხელეები არიან. მახარებს, რომ ტარიელის ოცნება ქარს არ გაატანეს და საფუტკრეთში (ტომაშეთის უბანი) წინაპრების კერა მოაწყვეს. ჩვენი ეზო უკვე ორჯერ მასპინძლობდა საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალს «ზე-კართან», ტარიელის უკვდავსაყოფად, სახალხო დღესასწაული «კუნტიჯვარობა» წამოიწყეს, სოფლის შემოსასვლელში სკვერი მოაწყვეს. თბილისის ერთი ქუჩა და შუბნის საჯარო სკოლა ტარიელის სახელს ატარებს.

- თბილისი, ბათუმი, შუახევი, საფუტკრეთი - ეს ის ადგილებია, სადაც შვილები, მათი შთამომავლები ცხოვრობენ. არჩევანს რომელზე აკეთებთ?

- ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წლები შუახევს უკავშირდება. ტარიელმა და თემურმა საშუალო სკოლა შუბანში დაამთავრეს, ავთანდილმა და ფრიდონმა - შუახევში. 2018 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე ფრიდონი შუახევის მერად აირჩიეს, რამაც ჩემს შუახევთან და ნაბოლარა შვილთან დამაბრუნა. ზაფხულობით საფუტკრეთში ვარ და ეზოს ველოლიავები.

- ამ ასაკში ეზოს პატრონობის უნარი შეგწევთ?

- სადაც სიყვარული, კეთილი ურთიერთობები და ნდობაა, იქ უნარიც გემატება. შარშან, შემოდგომის ცივ და წვიმიან დღეს საფუტკრეთში 30-მდე მწერალი მსტუმრობდა. ნინო მოდრეკილაძის, გვანცა ჯობავას, როსტომ ჩხეიძის, ქეთი ჯოლბორდის, ბათუ დანელიას და სხვების საუბრები აგიზგიზებულ ბუხართან, საინტერესო და შინაარსიანი იყო. ასეთ დიდებულ ადამიანებს მოწესრიგებული ეზო და ბოსტანი დავახვედრე. ამ ეზოს იმიტომაც ვეფერები, რომ სიკვდილისწინა ზაფხული ჩემმა ტარიელმა აქ გაატარა, საუკეთესო მეგობრებს აქ და მთა ჩირუხში არსებულ იაილაში მასპინძლობდა. მან კუთხის ისტორია კარგად რომ იცოდა, სურდა სხვებისათვისაც გაეცნო. «კუნტიჯვარზე» ჯვარი რომ აღმართეს, უახლოესი მეგობრები, ქუთაისისა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორები როლანდ კოპალიანი და გიორგი სოსიაშვილი მოიპატიჟა, მთის ხასხასა მდელოზე გაუშალა სუფრა.

- 15 მარტი თქვენი დაბადების დღეა. პირველ მოლოცვას ვისგან ელოდებით?

- ტარიელის მეგობრებისგან. ქვეყნის პირველი პრეზიდენტიდან მოყოლებული, ყველა მიცნობდა, მეფერებოდა. ის დღე ფუჭად მიმაჩნია, თუ მეუღლის, შვილების მეგობრები არ მომაკითხავენ. სხვათა შორის ალექსანდრესაც დიდი სამეგობრო ჰყავდა. მრავალ მათგანთან ოჯახებით ვმეგობრობთ. წლები უკან მოვიტოვე. სიხარულს დარდიც ენაცვლებოდა. ის დღეები რომ მახსენდება, მიკვირს, ამდენს როგორ გავუძელი, როგორ მოვედი დღემდე... სიმშვიდეს, სიხალისეს შვილები, შვილიშვილები მმატებენ. მათზე მზრუნველი, მათი ერთგული მრჩეველი, მესაიდუმლე, თანამოდარდე ვიყავი და ვარ. უფალს ვთხოვ, კიდევ დიდხანს მამყოფოს მათთან.

> *„ტარიელი ბათუმის პირველ პრეფექტად რომ დანიშნეს და ასლან აბაშიძის ფეოდალურ რეჟიმს დაუპირისპირდა, ჩვენი შევიწროება, ფარული დევნა დაიწყო... გავუძელით. ჩემი შვილი სამსახურებრივ კარიერას რომ გაჰყოლოდა, ისეთი სახელით ქვეყანას ვერ შემორჩებოდა, როგორიც 60 წელს მიახლოებულმა დატოვა. სხვა რომ არაფერი ვთქვა, მარტო მასზე დაწერილი ის ნოველებიც საკმარისია, მწერალ გიორგი სოსიაშვილს რომ ეკუთვნის*

საჩვენებელი ტურნირი სავალი ნაწილი ისევ ჩაკეტილია – ბრილში

სამთო-სათხილამურო სპორტისა და ამ სახეობის ტურიზმის განვითარებისთვის შუახევის მუნიციპალიტეტის მეტწილ სოფლებში საუკეთესო ბუნებრივი ტრასებია. წლების წინ ამ ტრასებს მიზნობრივად იყენებდნენ და მოსახლეობის ერთი ნაწილი კარგადაც სრიალებდა თხილამურებით, ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებიც ეთმობოდა ამის შესწავლას.

ბოლო წლებში სპორტის ეს სახეობა საერთოდ მიივიწყეს. ვერცერთ სკოლაში ვეღარ ნახავთ თხილამურებს, რომც იყოს, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს არ აქვთ საიმისო განათლება, რომ მოსწავლეებს თხილამურებზე დგომა შეასწავლონ. ამ მხრივ, შედარებით კარგადაა საქმე ბრილში, სადაც შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით, თხილამურებით სრიალში საჩვენებელი ტურნირი ჩატარდა. მას შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, სხვა ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. დამსწრეთ ადგილობრივმა მოთხილამურეებმა საინტერესო გამოსვლები აჩვენეს, რაც ამ სოფლის მკვიდრის თემურ ზოიძის დამსახურებაცაა. მისი ორგანიზებით შარშან ბრილში ტურისტული ექსპედიცია გაიმართა, რომლის მონაწილეებმა ბუნებრივი ტრასები და თოვლის ხარისხი დადებითად შეაფასეს.

ტურნირის დასრულების შემდეგ კომენტარი ომარ ტაკიძეს ვთხოვეთ.

- ბრილი ზღვის დონიდან 1300 მეტრზე მაღლა მდებარე დასახლებაა. აქ თიხის საბადოა, რომლის ათვისება უკვე დაწყებულია. სოფლის ინფრასტრუქტურა ვითარდება. მალე ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყება. სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარება, არსებული ბუნებრივი ტრასების მიზნობრივად გამოყენება, ტურიზმის განვითარებას სასიკეთოდ წაადგება. სულ მალე, საკონკურსო შერჩევის შემდეგ, ჭვანის ხეობის ტურისტული პოტენციალის ათვისება დაიწყება. ამ საქმეში, ხეობის სხვა სოფლებთან ერთად, ბრილიც ჩაერთვება, - თქვა მერმა.

11 და 12 მარტს ჰაერის ტემპერატურის მატებამ, თოვლდნობა დააჩქარა, რაც მეწყრული პროცესების გააქტიურების წინაპირობა გახდა, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების რიგ ტერიტორიებზე ახალი კერები გაჩნდა. მეწყერმა დააზიანა გზები და საცხოვრებელი სახლები. სამივე მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზებზე განვითარებული მეწყრული პროცესების სალიკვიდაციო სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

აჭარის მთავრობა უზრუნველყოფს სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის სრულად აღდგენას. თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს სტიქიით დაზარალებული ოჯახები საიმედო ტერიტორიებზე გადაჰყავთ.

ტრანსპორტი ისევ შეფერხებით გადაადგილდება ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის 86-ე კილომეტრზე (სოფელი დიდაჭარა). გაწმენდით სამუშაოებში ჩართულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკაც. მეწყერის მასშტაბიდან გამომდინარე, პერიოდულად იკეტება გზის სავალი ნაწილი და დროგამოშვებით ხდება ავტონაკადის გატარება.

სტიქიის ზონაში იმყოფებიან და სალიკვიდაციო სამუშაოების მიმდინარეობას აკვირდებიან ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე და აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსი მამუკა თურმანიძე. ზაზა შავაძე და მამუკა თურმანიძე, ქედის მუნიციპალიტეტის მერ როლანდ ბერიძესთან ერთად, ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მეწყრული პროცესების სალიკვიდაციო სამუშაოებსაც გაეცნენ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

ბათუმში ცეცხლი დაბალსართულიან სახლებს გაუჩნდა

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

ვაჟა-ფშაველას და გიორგი ბრწყინვალის ქუჩების კვეთაში ხანძარი გაჩნდა. პირველადი ინფორმაციით, ცეცხლი დაბალსართულიან სახლებს წაეკიდა. ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო და სასწრაფო დახმარების ჯგუფები. ხანძარი, სავარაუდოდ, ძველმა ელექტროსადენებმა გამოიწვია. როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განაცხადეს, მეხანძრე-მაშველებმა ცეცხლი საკმაოდ სწრაფად ჩააქრეს, დაშავებულების შესახებ ინფორმაცია უწყებაში არ შესულა.

წვრთნები - გალში

ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა დიმიტრი დბარმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გალში წვრთნებს ატარებენ.

„წვრთნები მაქსიმალურად ახლოსაა ბრძოლასთან - კონტრტერორიზმისა და დივერსიული ჯგუფების წინააღმდეგ. ასეთი წვრთნები რეგულარულად ტარდება კვარტალში ერთხელ. აქ განთავსებული სპეცრაზმი გაწვრთნილი და სრულად აღჭურვილია ამ წვრთნების ჩასატარებლად, - აღნიშნა დბარმა და დასძინა, - მსოფლიოში შექმნილი ვითარებისა და შესაძლო საფრთხეების გათვალისწინებით, ჩვენ უფრო ხშირად ჩავატარებთ მსგავს ღონისძიებებს, რათა შევიმუშაოთ მექანიზმები მოსახლეობის ანტიტერორისტული დაცვის უზრუნველსაყოფად. შეასრულონ მათზე დაკისრებული საბრძოლო ამოცანები“.

წვრთნები ოკუპირებულ აფხაზეთში კვირას დაიწყო.

ამირან გურიელიძე

გამოხმაურებები კვარას ზღაპრულ გოლზე

სერია A-ს 26-ე ტურში „ნაპოლიმ“ „ატალანტა“ 2:0 დაამარცხა. ანგარიში ხვიჩა კვარაცხელიამ გახსნა, რომელმაც ფანტასტიკური გოლი გაიტანა და მსოფლიო ფეხბურთის სამყარო აღაფრთოვანა.

„ლაციოს“ ყოფილ მეკარე ლუკა მარკეჯანის ხვიჩას შედეგრმა 1994 წელს „მილანის“ კარში პაოლო დი კანიოს მიერ გატანილი გოლი გაახსენა, რაზეც თავად ცნობილმა იტალიელმა ფეხბურთელმაც ისაუბრა: „ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები. ვინც ამას ამბობს, ყველა მეზიზღება. იმ პერიოდში უკვე საკმაოდ ხნიერი ვიყავი. ხვიჩამ ამ სიტუაციაში ბრწყინვალედ იმოქმედა, მცველები თავისკენ მიიზიდა, დრო თითქმის არ ჰქონდა, ტოლოი ჩამოიშორა. ეს ყველაფერი ძალიან რბილად გააკეთა. ის გენიოსია და ჩემთან შედარება სამარცხვინოა. ბურთს არც კი უყურებდა და ყველაფერი წარმოუდგენელი სისწრაფით გააკეთა. მიუხედავად მისი სიმაღლისა, გასაოცარი დრიბლინგი აქვს“, - განაცხადა დი კანიომ.

ლეგენდარული ნიდერლანდელი ფეხბურთელი მარკო ვან ბასტენი ახლა Ziggo Sport Voetbal-ზე სპორტულ მიმომხილველად მუშაობს. რა თქმა უნდა, მან კომენტარი ხვიჩა კვარაცხელიას ფენომენალურ გოლზეც გააკეთა: „მომენტს უყურებ და ხედავ, რომ ერთი ფეხბურთელი რვა მოთამაშის წინააღმდეგაა. ფიქრობ, როგორ შეიძლება აქ გოლი გავიდეს?! - ეს შეუძლებელია სიმართლე იყოს! შეუძლებელია გოლი გავიდეს, მაგრამ მან ეს გააკეთა“, - თქვა ვან ბასტენმა.

იტალიური Sky Sport-ის ჟურნალისტმა მარკო ბუკანტინიმ „ნაპოლის“ ქართველ ვარსკვლავ ხვიჩა კვარაცხელიაზე ისაუბრა და თქვა, რომ „კვარა“ რიკარდო კაკაზე უკეთესი ფეხბურთელია: „ხვიჩა ქარიშხალივითაა და მოედანზე მეტოქე გუნდებს დიდ ზიანს აყენებს, მცველებს მშვიდად თამაშის საშუალებას არ აძლევს. „კვარას“ ერთ-ერთი საუკეთესო დარტყმა აქვს და ხარისხისა და ფასის გათვალისწინებით, მის „ნაპოლიში“ ტრანსფერს მხოლოდ რიკარდო კაკას „მილანში“ ტრანსფერს შევადარებდი. დეტალურად რომ მივყვეთ, პირადად მე ქართველი ბრაზილიელს მირჩევნია. ჩვენთვის ერთადერთი პრობლემა მისი გვარის წარმოთქმა იყო; კარგად ვერ ვიაზრებდით, თუ რამდენად დამანგრეველი შეიძლებოდა ყოფილიყო. „ატალანტასთან“ მისმა გატანილმა გოლმა ლუჩანო სპალეტი გაოგნებული დატოვა.

ამირან გურიელიძე

უკრაინა

უკრაინის სახმელეთო ჯარების მეთაურ ალექსანდრე სირსკის განცხადებით, დონეცკის ოლქის ქალაქ ბახმუტის გარშემო ვითარება რთულია - ოკუპანტები არ წყვეტენ თავდაცვითი ძალების გარღვევისა და ქალაქის ცენტრისკენ წინსვლის მცდელობებს, მაგრამ დიდ დანაკარგებს განიცდიან. „ბახმუტის ირგვლივ ვითარება კვლავ რთულია. „ვაგნერის“ თავდასხმის რაზმები შეტევას რამდენიმე მიმართულებით ახორციელებენ, ცდილობენ, გაარღვიონ ჩვენი ჯარების თავდაცვა და ქალაქის ცენტრალური უბნებისკენ გადაადგილდნენ“, - აღნიშნა სირსკიმ. მისი თქმით, მძიმე ბრძოლების დროს უკრაინელი ჯარისკაცები მნიშვნელოვან ზარალს აყენებენ მოწინააღმდეგეს. ისინი საარტილერიო ცეცხლით, ტანკებითა და სხვა იარაღით იგერიებენ მტრის მიერ ქალაქის აღების მცდელობებს.

* * *

ბახმუტის მიმართულებით, ერთ კვირაზე ნაკლებ დროში, რუსებმა 1 100-ზე მეტი ჯარისკაცი დაკარგეს, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ტრადიციულ ვიდეომიმართვაში განაცხადა. „ერთ კვირაზე ნაკლებ დროში, 6 მარტიდან, მხოლოდ ბახმუტის მიმართულებით განადგურდა 1100-ზე მეტი მტრის ჯარისკაცი. გარდა ამისა, მტრის, მინიმუმ, 1500 ჯარისკაცი დაიჭრა ისე, რომ ბრძოლის გაგრძელება არ შეუძლიათ. გარდა ამისა, განადგურდა მტრის ათობით მანქანა, დაიწვა ათზე მეტი რუსული საბრძოლო მასალის საცავი“, - აღნიშნა ზელენსკიმ. შეგახსენებთ: მოსკოვი უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქის აღებას თვეებია, ცდილობს.

* * *

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ მკაცრად გააკრიტიკა „ოსკარის“ დაჯილდოების ორგანიზატორები იმის გამო, რომ მათ უარი განაცხადეს ცერემონიაზე უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის სიტყვით გამოსვლაზე. უკრაინული მედიის ცნობით, გერმანულ მედიასთან ინტერვიუში კულებამ ამერიკის კინემატოგრაფიული ხელოვნების აკადემიის წევრების გადაწყვეტილებას „თვალთმაქცობის მაგალითი“ უწოდა. „ვფიქრობ, თუ ფილმი „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ მიიღებს „ოსკარს“ საუკეთესო უცხოური ფილმისთვის მაშინ, როდესაც პრეზიდენტი ზელენსკი, რომელიც ომშია, ხელმძღვანელობს ქვეყანას, აწარმოებს ყველაზე დიდ ომს ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და არ გამოდის სიტყვით „ოსკარზე“, კინოინდუსტრიის ტოპ-მენეჯერებისა და პროდიუსერების თვალთმაქცობის უკეთეს მაგალითს ვერ იპოვით“, - განაცხადა კულებამ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ როდესაც „ოსკარს“ პომპეზურად აღნიშნავენ და ომის შესახებ ფილმს აძლევენ ქანდაკებას, უკრაინაში მიმდინარე ომის საშინელება არ შეიძლება უგულებელყოფილი იყოს, რადგან ასეთი საქციელი თვალთმაქცობაა.

* * *

ნორვეგია უკრაინას დამატებით ორ NASAMS-ის სარაკეტო სისტემას გადასცემს და უკრაინელ სამხედროებს წვრთნებს ჩაუტარებს. ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ოლექსი რეზნიკოვმა ნორვეგიელ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. „მოხარული ვარ, რომ ვუმასპინძლე ჩემს ნორვეგიელ კოლეგა ბიორნ არილდ გრამს. მთავარი პრიორიტეტი საჰაერო თავდაცვაა. კარგი სიახლე: NASAMS-ის ორი სისტემა დამატებით, პლუს უკრაინული პერსონალის გაწვრთნა“, - წერს რეზნიკოვი „ტვიტერის“ გვერდზე.

* * *

შვეიცარიული იარაღი არ უნდა იქნას გამოყენებული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში, - განაცხადა შვეიცარიის პრეზიდენტმა ალენ ბერსემ გამოცემა NZZ am Sonntag-თან ინტერვიუში. მისი თქმით, შვეიცარიის პოლიტიკა მშვიდობის, ჰუმანიტარული სამართლისა და შუამავლობის ვალდებულებას ეფუძნება, რაც „ზოგს შესაძლოა, მოძველებულად მოეჩვენოს, მაგრამ ის დღეს იმაზე ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე ყოფილა“. აღსანიშნავია, რომ შვეიცარია მხარს უჭერს რუსეთის წინააღმდეგ საერთო ევროპულ სანქციებს და კონფლიქტის დაწყების შემდეგ მის იურისდიქციაში არსებული ზოგი რუსული აქტივიც გაყინა. ამასთან, შვეიცარიამ კატეგორიული უარი თქვა უკრაინისთვის იარაღის მიწოდებაზე და სხვა ქვეყნებს მისგან ადრე შეძენილი იარაღის კიევისთვის გადაცემაც კი აუკრძალა.

* * *

პუტინი ფიქრობდა, რომ ის დაგვყოფდა, მაგრამ ჩვენ ახლა ისეთი ერთიანები ვართ, როგორც არასდროს - ერთად ვდგავართ უკრაინის ურყევი მხარდაჭერისთვის იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც საჭირო იქნება, - ამის შესახებ ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენისა და აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ერთობლივ განცხადებაშია აღნიშნული. ურსულა ფონ დერ ლაიენი და ჯო ბაიდენი აცხადებენ, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია და ევროკავშირის ხელმძღვანელობა იღებენ ზომებს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების გვერდის ავლის მცდელობების აღსაკვეთად.

* * *

უკრაინის პრეზიდენტმა რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებულ 120 ფიზიკურ და 287 იურიდიულ პირს სანქციები დაუწესა. ვოლოდიმირ ზელენსკის მიერ გამოცემული განკარგულებით ამოქმედდა ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილება. განკარგულების გამოცემამდე, საბჭომ უკრაინის მინისტრთა კაბინეტის წინადადება გაითვალისწინა და შეზღუდვები დაუწესა 120 პირს, რომელთა უმეტესობა რუსეთის მოქალაქეა, თუმცა არიან კვიპროსის, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთის, თურქეთისა და ნიდერლანდების მოქალაქეებიც. სანქცირებულ იურიდიულ პირებს შორის მოხვდნენ ლატარიის ორგანიზატორები, იპოდრომები, საინვესტიციო და გასართობი კომპანიები. სანქციები 50 წლის ვადით არის მიღებული, უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო კი ევროკავშირის, აშშ-სა და სხვა სახელმწიფოებს აცნობებს შეზღუდვების შესახებ, რათა სხვა ქვეყნებმაც დაუწესონ სანქციები აღნიშნულ პირებსა თუ კომპანიებს.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომძვეები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ოდოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 13/03/23, 21 25 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ჯანსუღ კახიძის ხსოვნის საღამოზე

ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, სიმფონიური მუსიკის კონცერტი გაიმართა

საღამო დიდი ხელოვანის, მაესტრო ჯანსუღ კახიძის ხსოვნას მიეძღვნა. მასში მონაწილეობდნენ თბილისის სიმფონიური ორკესტრი (მთავარი დირიჟორი - ვახტანგ კახიძე), საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა (ქორმაისტერი - არჩილ უშვერიძე), ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის კაპელა (სამხატვრო ხელმძღვანელი - ქეთევან მანელიშვილი, ქორმაისტერი - ლელა დოლიძე).

საღამო დაიწყო ვახტანგ კახიძის ნაწარმოებით „Farewell“ („დამშვიდობება“), რომელიც შარშან დაიწერა და იგი ავტორმა ჩვენი სახელოვანი თანამემამულის ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნას მიუძღვნა. ნაწარმოები მეცოსოპრანოს, მამაკაცთა გუნდისა და კამერული ორკესტრისთვისაა დაწერილი (სოლისტი - ქეთევან ქართველიშვილი), მეორე ნაწარმოები კი ერთ-ერთი საუკეთესო იტალიელი კომპოზიტორის ლუიჯი ქერუბინის რეკვიემი გახლდათ. როგორც ბატონმა ვახტანგ კახიძემ აღნიშნა, მას სხვა რეკვიემებისგან ის განასხვავებს, რომ აქ არ არის სოლისტი, ნაწარმოები შერეული გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისთვისაა შექმნილი. იგი შვიდი დიდი ნაწილისგან შედგება, სრულდება როგორც ერთი მთლიანი ნაწარმოები და დაახლოებით 45 წუთს მიმდინარეობს. ისიც თქვა, რომ ბათუმის კაპელასთან მათ დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ, თუმცა ძალიან დიდი პაუზის, თითქმის ათი წლის შემდეგ ჩავიდნენ ბათუმელები თბილისში. ვახტანგ კახიძე სიმფონიური ორკესტრისა და საქართველოს სახელმწიფო კაპელის სახელით მიესალმა შეკრებილთ, მონაწილეებს, გაერთიანებულ გუნდს, რომელიც კონცერტის ბოლომდე ნამდვილად მოწოდების სიმაღლეზე იდგა. აქვე აღვნიშნავთ, რომ მაყურებელმა მადლიერება რამდენიმეწუთიანი ოვაციით გამოხატა.

დიდი მაესტრო ჯანსუღ კახიძე 2002 წლის 7 მარტს გარდაიცვალა. შემდეგი წლიდანვე, ტრადიციულად, ყოველ 7 მარტს, მისივე სახელობის ცენტრში კონცერტი იმართება განსაკუთრებული პროგრამით.

- თარიღიდან გამომდინარე, სპეციალურ პროგრამას ვარჩევთ. ფაქტია, ამ პროგრამას ნაღველი ახლავს ხოლმე, მაგრამ მუსიკას იმხელა ძალა აქვს, რომ ყველა კონცერტი, როგორც სადღესასწაულო თარიღისადმი მიძღვნილი, ისე მთავრდება - ეს არის კონცერტი ბგერებისა და ემოციების დღესასწაული თავისი ტაშითა და ოვაციებით. ჩვენ 2020-2021 წელსაც გვქონდა დაგეგმილი კონცერტი, მაგრამ, პანდემიის გამო, ლოკდაუნი გამოცხადდა, 2022-ში კი უკრაინაში ომი დაიწყო და მისი ჩატარება არ ჩავთვალეთ მიზანშეწონილად - გამოვხატეთ ჩვენი სოლიდარობა უკრაინელი ხალხის მიმართ, წელს კი მოგვეცა ამის შესაძლებლობა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის ამ ტრადიციის ერთგვარი აღორძინება, - თქვა ვახტანგ კახიძემ, რომელმაც კმაყოფილება გამოთქვა ჩვენი კაპელის მიმართ და აღნიშნა, რომ გუნდმა არ დაკარგა ის დონე, რაც წლების წინ ჰქონდა.

მართლაც არაჩვეულებრივად იმღერა გაერთიანებულმა გუნდმა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ბათუმის გუნდს. კონცერტის შემდეგ შთაბეჭდილებები ჩავიწერეთ.

გიორგი შავერზაშვილი, პიანისტი, კომპოზიტორი:

- საერთოდ, ყოველთვის საინტერესო და ღირებულია საღამო, რომელშიც პროფესიონალები მონაწილეობენ, გაერთიანებული გუნდის ხმოვანება ხომ არაჩვეულებრივია. ბათუმის კაპელა დიდი კოლექტივია, ხარისხიანია და ყოველთვის კარგად ჟღერს. დღევანდელი ჟღერადობა ძალიან გამორჩეული და შთამბეჭდავი იყო.

მარინა ლოგაშანიძე, პიანისტი, პედაგოგი, მუსიკის ექსპერტი:

- დღევანდელი საღამო ძალიან ამაღელვებელი და ემოციური იყო. სამი წელი ველოდით ამ სიამოვნებას. ამ სამმა წელიწადმა კი არ გაანელა ემოციური მუხტი, პირიქით, გააძლიერა. რაც დრო გადის, უფრო მეტად გრძნობ კლასიკური, ლამაზი მუსიკის აუცილებლობას. რაც შეეხება პროგრამას და პირველ ნაწარმოებს - „დამშვიდობება“, რომელიც ვახტანგ კახიძემ ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნას მიუძღვნა, ეს იყო ერთი მხრივ, დამშვიდობების, მეორე მხრივ, „ალილუიას“ საოცარი სინთეზი. თითქოს ერთი ქვეყნიდან მეორეში - ზეციურ სამყაროში გადასვლისას, „ალილუიათი“ ესალმება მას ის სამყარო. საოცარი გადაწყვეტილებაა დრამატურგიულად, შესრულებაზე აღარაფერს ვიტყვი, ქეთის ხმა ანგელოზის სადარია. ფანტასტიკური იყო კაპელა, ორკესტრი, სადა და ამაღელვებელი. რაც შეეხება ქერუბინის რეკვიემს, ძალიან მინდოდა მისი ცოცხლად შესრულება მომესმინა. ცნობილი ფაქტია: როდესაც ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი სასიკვდილო სარეცელზე იწვა, მან ანდერძი დატოვა, რომ მის დაკრძალვაზე შესრულებულიყო სწორედ ლუიჯი ქერუბინის რეკვიემი, რომელსაც ძალიან დიდ პატივს სცემდა. იმაში, რომ არ არის სოლისტები და მარტო გუნდი და ორკესტრია, ძალიან დიდი მნიშვნელობაა ჩადებული. ამ რეკვიემში ნაჩვენებია, რომ ნებისმიერი ადამიანი ღმერთთან თანასწორია, ეს არის ღაღადება ზეცად მთელი კაცობრიობის. ამ გაერთიანებულ გუნდს სიამოვნებით მოვუსმენდი ეკლესიაში, აივნებიდან, ეს იქნებოდა გრანდიოზული - სანახაობრივადაც და მოსასმენადაც. მართალია ამ დარბაზს ძალიან კარგი ვოკალური შესაძლებლობები აქვს და განსაკუთრებით, გუნდისთვის, მაგრამ ის, რაც ეკლესიას აქვს, მაინც განსხვავებულია, ამიტომ დავიტოვებ ოცნებად, რომ იგი მოვისმინო ტაძარში. თამამად ვიტყვი, რომ დღეს დიდი დღესასწაული შედგა - ლოცვის, ამაღლების, მონანიების, სიყვარულის.

მანანა ახმეტელი, მუსიკოლოგი:

- გილოცავთ ბათუმელებს, რომ ასეთ მნიშვნელოვან და სერიოზულ კონცერტში, ძალიან რთულ და ღრმა ნაწარმოების შესრულებაში მიიღეთ მონაწილეობა. დღეს სცენაზე გრანდიოზული გუნდი იდგა. მშვენივრად შეერწყა ეს ორი გუნდი ერთმანეთს. არ იგრძნობოდა, რომ ორი სხვადასხვა კაპელა იყო გაერთიანებული, მონოლითურად გაიჟღერა ყველაფერმა. ძალიან შთამბეჭდავი საღამო იყო. ბატონ ჯანოს ხსოვნას მიეძღვნა და იგი ნამდვილად ღირსეულად აღინიშნა. გილოცავთ ბათუმელებს.

ქეთევან მანელიშვილი, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის დირექტორის მოადგილე შემოქმედებით დარგში:

- თბილისის კაპელასთან რამდენჯერმე გვქონდა შეხება, ბატონმა ვახტანგმა გადაწყვიტა, კონცერტში მონაწილეობა ორ გუნდს მიეღო. არჩილ უშვერიძემ და ვახტანგ კახიძემ ბათუმის გუნდის შესაძლებლობები კარგად იცოდნენ და მიგვიპატიჟეს ამ მეტად საპასუხისმგებლო საღამოზე. სიამოვნებით მოვამზადეთ ეს რეკვიემი, შესანიშნავად იმუშავეს კაპელამ, ლელა დოლიძემ და კონცერტმაისტერმა თამარ თოფურიძემ. თბილისს ძალიან კარგი გუნდი ჰყავს, მაგრამ ასეთი მასშტაბური ნაწარმოები ნამდვილად დაამშვენა დიდმა გუნდმა, ერთობლიობას მიანიჭეს დიდი მნიშვნელობა, რამაც გაამართლა.

ლელა დოლიძე, ქორმაისტერი:

- რეკვიემი რეპერტუარში არ გვქონდა, ამიტომ ორმაგად საინტერესო იყო ახალი მასალის გაცნობა. სირთულე მდგომარეობდა იმაში, რომ რეკვიემს სოლისტი არ ჰყავს - დაწერილია სიმფონიური ორკესტრისა და გუნდისთვის და შვიდივე ნაწილს ასრულებს გუნდი. შესასრულებლად რთულია - გუნდს არ აქვს პაუზა. რეკვიემი მოკლე დროში მოვამზადეთ. იქ არაჩვეულებრივი კოლექტივი დაგვხვდა. მადლობა მინდა გადავუხადო როგორც თბილისის გუნდისა და ორკესტრის თითოეულ წევრს, ისე ჩემს გუნდს თავდაუზოგავი შრომისა და მაღალპროფესიონალური შემოქმედებისთვის. არაჩვეულებრივად წარმოჩნდნენ და დიდი მოწონებაც დაიმსახურეს, მადლობა ჩემს კონცერტმაისტერ თამარ თოფურიძეს, არჩილ უშვერიძეს, ვახტანგ კახიძეს.

ჯაბა სალუქვაძე, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის მთავარი ადმინისტრატორი:

- საღამო არაჩვეულებრივი, ფანტასტიკური იყო, რისი დასტურიც გახლდათ ხანგრძლივი ოვაცია. მუსიკალური ცენტრი ყოველთვის დაუდგება გვერდით ასეთ საღამოებს, რომელიც, ვფიქრობ, უფრო ხშირად უნდა იმართებოდეს. ეს ორივე მხარისთვისაა საინტერესო და მნიშვნელოვანი.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის კულტურულ-საგანმანათლებო ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელისგან ვახტანგ კახიძისგან წერილი მიიღო, რომელშიც აღნიშნულია: „7 მარტს ჯანსუღ კახიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ კონცერტში თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან და საქართველოს სახელმწიფო კაპელასთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის კაპელამ. ამ კოლექტივების მიერ ერთობლივად შესრულდა ლუიჯი ქერუბინის რეკვიემი. კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. თქვენი თანადგომის გარეშე, რაც გამოიხატა მუსიკოსების მგზავრობისა და მათი თბილისში განთავსების საკითხებში, აღნიშნული პროექტის განხორციელება შესაძლებელი ვერ გახდებოდა. დიდ მადლობას მოგახსენებთ გაწეული დახმარებისთვის და ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელასა (ქორმაისტერი - არჩილ უშვერიძე) და ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის კაპელას (სამხატვრო ხელმძღვანელი - ქეთევან მანელიშვილი, ქორმაისტერი - ლელა დოლიძე), ჩვენსა და თქვენს ცენტრებს შორის თანამშრომლობა კვლავაც გაგრძელდება“.

ჯანსუღ კახიძის ხსოვნის საღამოში მონაწილეობით ბათუმის კაპელამ თავისი არსებობის ისტორიაში კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი ჩაწერა.

ქეთევან მუხაშარიას მემორიალი

მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე ქეთევან მუხაშარიას მემორიალი გაიმართა, რომელიც სამ კატეგორიად ჩატარდა:

A - ქალთა წრიული ტურნირი სწრაფ ჭადრაკში ფედერაციის მიერ ნომინირებულ სპორტსმენთა მონაწილეობით, B - ბლიცტურნირი 14 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის და C - ქალთა ბლიცტურნირი, რომელშიც ყველა მსურველი მონაწილეობდა.

14 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის პირველ ადგილებზე გიორგი გოგიაშვილი და კესარია მგელაძე გავიდნენ.

საპრიზო ადგილებზე გასული მოჭადრაკეები მედლებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ, ჩემპიონი კი აგრეთვე თასით. ტურნირის ყველა მონაწილეს სამახსოვრო საჩუქარი გადაეცა.

აჭარის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა სალომე მელიამ მადლობა გადაუხადა აჭარის სპორტის დეპარტამენტს (ხელმძღვანელი - ირმა ნიჟარაძე) მხარდაჭერისთვის, სასტუმრო „ჩაოს“ - მოწვეულ მოჭადრაკეთა მიღების უზრუნველყოფისთვის, ასევე მხატვარ ანა ნიკოლაიშვილს, რომელმაც ქეთევან მუხაშარიას ოჯახს საჩუქრად მისივე შესრულებული აწ განსვენებული ქეთევან მუხაშარიას პორტრეტი გადასცა.

დაჯილდოების ცერემონიას ესწრებოდნენ აჭარის სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირმა ნიჟარაძე, მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლის დირექტორი შოთა დავითაძე, მისი პირველი მოადგილე ლევან ჯიოშვილი და სხვები.

გვერდი მოამზადა
მანანა ძიძიშვილმა